საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სერგო გურის ძე შარაშენიძე

რკინიგზის რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური დატვირთვების შემცირება შეერთებებში ღრეჩოების ოპტიმიზირებით

სპეციალობა – 05.04.02. – თბური ძრავები

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი
თ.მ. ნატრიაშვილი

თბილისი – 2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას სხვა მოთხოვნებთან ერთად წარმოადგენს რკინიგზის ტრასპორტის გამართული და უმტყუვნო მუშაობა. რკინიგზის ტრანსპორტი გამოირჩევა თავისი პრესტიჟული ადგილით სხვა სახის ტრანსპორტს შორის, რადგან მასზე მოდის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა ნაკადის უპირატესი ნაწილი. გამტარუნარიანობისა და გამზიდუნარიანობის შეუფერხებელი ზრდა თავისთავად მოითხოვს სარკინიგზო ტრანსპორტის დაძაბულ მუშაობას, ამიტომ გადაზიდვის პროცესების სრულყოფასთან ერთად აუცილებელია მთელი სავაგონო პარკის ტექნიკური სრულყოფა და ნორმალური მუშაობა.

რეფრიჟერატორული ვაგონის საშუალებით წარმოებს მალფუჭებადი ტვირთის გადატანა დანიშნულების ადგილამდე ისე, რომ პროდუქტის (ტვირთების) სასაქონლო ღირებულება გადატანის შემდეგ შემოწმებისას უნდა თავსდებოდეს სახელმწიფო სტანდარტით მოცემულ ნორმებში. ამისათვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს პროდუქტის ტრანსპორტირებისათვის დადგენილი სამაცივრო ციკლის უზრუნველყოფა მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. ყველა სამაცივრო ან დამხმარე დანადგარი მუშაობს ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდების პირობებში და თუ გავითვალისწინებთ, რომ სამაცივრო ტექნიკა უწყვეტად მუშაობს ხანგრძლივი დროის მანძილზე, ცხადი ხდება რა დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება ელექტროენერგიის მიმწოდებელ სისტემას და მათ შორის დიზელის ძრავასაც. დიზელის ძრავის მყისი მტყუვნების დროსაც კი გენერატორის გაჩერებისას

მოსალოდნელია მთელი სამაცივრო ციკლის ჩაშლა და მასთან გადასატანი მალფუჭებადი ტვირთის სასაქონლო თვისებების გაუარესება.

რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის მთავარ შემსრულებელ ორგანოს წარმოადგენს მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი, რომლის სახსრულ შეერთებებში ტექნოლოგიური აკრებისა და შემდგომი მუშაობის მიზნით თავიდანვე დაშვებულია ღრეჩოს გარკვეული მნიშვნელობა შეერთების შიგა და გარე ელემენტებს შორის. გარკვეული დროით მუშაობის შემდეგ ადგილი აქვს შიგა და გარე ელემენტების მოსრიალე მუშა ზედაპირების ცვეთას, რომლის შედეგადაც შეერთებაში არსებული ღრეჩოს გეომეტრიული ზომა იზრდება. გაზრდილი ღრეჩოს პირობებში ადგილი აქვს შიგა ელემენტების დარტყმით მოვლენას გარე ელემენტების მიმართ, იზრდება რეაქციის ძალები და ხშირდება დარტყმითი მოვლენები, რომლის დროსაც ზიანდება შიგა და გარე ელემენტების შემხები ზედაპირები, იკაწრება დგუშისა და ცილინდრის მუშა ფართები და ა.შ. განსაკუთრებით დიდი ღრეჩოს დროს შესაძლოა მოხდეს ბარბაცას დაზიანება, გაღუნვა და ჩატეხვაც კი. მექანიზმის ჩაშლას მივყევართ ძრავის აუცილებელ დაშლით შეკეთებამდე, რაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ხშირად დიზელის ძრავის ბლოკის ზედაპირზე გაჩენილი ბზარები გამოწვეულია გაზრდილი ღრეჩოს შიგნით არსებულ დარტყმით მოვლენებით. გაზრდილი ღრეჩო წარმოადგენს შემსრულებელი მექანიზმისადმი დამატებითი დინამიკური დატვირთვების აღძვრის წყაროს.

დიზელის ძრავზე ღრეჩოსაგან გამოწვეული გაზრდილი

დინამიკური დატვირთვების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ჩატარდეს შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური გამოკვლევა შეერთებებში ღრეჩოების გათვალისწინებით და დადგინდეს იმ ოპტიმალური ღრეჩოს მნიშვნელობა, რომლის არსებობისას შენარჩუნებული იქნება დიზელის ძრავის ხანგამძლეობა.

ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც ჩატარებულია ღრმა თეორიული გამოკვლევები და შექმნილია პროგრამა ძირითადი დინამიკური პარამეტრების გაანგარიშებისათვის გაზრდილი თუ ოპტიმალური ღრეჩოს არსებობის პირობებში.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ამოცანები

სატრანსპორტო მექანიკის საკითხებით მეცნიერთა დაინტერესება იწყება პირველი ორთქლმავლის შექმნის დროიდან და ამ დარგს ემსახურება მეცნიერთა მრავალი თაობა. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა რთული დინამიკური სისტემაა, რომლის ნორმალური ტექნიკური გამართულობა და ექსპლუატაცია დამოკიდებულია ისეთი ფუნდამენტალური საკითხების გადაჭრასთან, როგორიცაა ვაგონისა და ლიანდაგის ურთიერთქმედების დინამიკა, შემადგენლობის გრძივი დინამიკა, ვაგონების რხევები, ვაგონების კონსტრუქციული სრულყოფა, სამუხრუჭე სისტემების ოპტიმიზაცია, ვიბრაციები და ა.შ. სატრანსპორტო მექანიკის საკითხებს მიეკუთვნება არა მარტო ვაგონის ან მოძრავი შემადგენლობის მიმართ აღძრული პრობლემები, არამედ ის საკითხებიც, რომლებიც ეხება ვაგონის დანადგარების კონსტრუქციულ სრულოფასა და მათ დინამიკურ კვლევას.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის საწყის წლებში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და ვაგონების პრობლემური ფუნდამენტალური საკითხები გადაჭრილი იქნა ისეთი გამოჩენილი რუსი მეცნიერების მიერ, როგორიც არიან: ნ. პ. პეტროვი, კ. ი. ცეგლინსკი, ა. ა. ხოლოდეცკი, ა. ნ. კრილოვი, ა. მ. გოდიცკი-ცვირკო, ს. პ. ტიმოშენკო, ნ. ე. ჟუკოვსკი და სხვ. მათი გამოკვლევები ხასიათდება დიდი მეცნიერული სიღრმით და პრაქტიციზმით. ამ მეცნიერთა ნაშრომებზე აღიზარდა მომავალ მეცნიერთა თაობა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს სარკინიგზო მექანიკის განვითარების საქმეში.

მოხდა ვაგონების კონსტრუქციის დახვეწა და მასზე მოქმედი ძალების გამოკვლევა [27]. მასალათა გამძლეობის დებულებებზე დაყრდნობით გამოკვლეულ იქნა რიგი საკითხებისა ვაგონების სიმტკიცის და საიმედოობის შესახებ. დამუშავდა სხვადასხვა დანიშნულების ვაგონის ძარისა და ურიკის კონსტრუქციები. ჩატარდა ყველა საპასუხისმგებლო კვანძის ან ელემენტის ღრმა თეორიული გამოკვლევა.

მოძრავი შემადგენლობის გრძივი დინამიკის ფუნდამენტალური საკითხები გამოკვლეული იქნა რიგ სამეცნიერო ნაშრომებში [9, 28, 30, 35, 89, 107]. დამუშავდა და გამოკვლეული იქნა სავალი ნაწილის რაციონალური პარამეტრების მნიშვნელობები მშრალი ხახუნის არსებობის დროს, აგრეთვე ვაგონის ძარის მდგრადობის საკითხები და დამუშავდა შესაბამისი მდგრადობის პირობები. გამოკვლეული იქნა რელსზე თვლის დარტყმის მოვლენები, დამუშავდა დინამიკური მოდელი, რომელიც ასახავს თვლის გავლისას ლიანდაგის პირაპირებში აღძრული რეაქციის ძალების სიდიდეს. განხილულია ურიკის განივი მდგრადობის პრობლემები და ზოგადად მთელი სისტემის მდგრადობის პირობები მოძრაობისას. ჩამოყალიბებულია და მოცემული გრძივი დინამიკისა და ვაგონის დინამიკის კვლევის მეთოდები. დამუშავდა და გამოკვლეულ იქნა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ვითარდება ურთიერთქმდება მოძრავ შემადგენლობასა და ლიანდაგს შორის [6]. გამოკვლეულ იქნა რხევითი პროცესები მოძრავი შემადგენლობის სწორხაზოვანი და მრუდე უბნებში მოძრაობისას [9], მოხდა ვაგონის რხევების კლასიკური კლასიფიკაცია, რომელიც ცხადად ახასიათებს ვაგონის რხევით პროცესს

სივრცით საკოორდინატო სისტემაში ნებისმიერი სახის მოძრაობის პირობებში. ამ გამოკვლევების საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ რხევების ზოგადი დებულებანი [11, 54, 111], დამუშავებული სხვადასხვა ავტორების შესახებ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში რიგი მეცნიერების მიერ საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული [25, 26, 59, 76, 77, 80, 113, 114] ვაგონების დინამიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. დამუშავდა მეთოდურად ჩამოყალიბებული კვლევების თეორია, რომელიც ეხება ნებისმიერი სახის ვაგონის დინამიკას. დალამბერისა და ლაგრანჟეს მოძრაობის განტოლებების მიხედვით დამუშავდა ვაგონისა და მისი ნაწილების მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები. ვაგონის ძარა განხილული იქნა როგორც ორ საყრდენზე დაყრდნობილი ხისტი ღერო საყრდენების დრეკადობისა და ძარის მბრუნავი მომენტის გათვალისწინებით. გამოკვლეულ იქნა ერთმაგი და ორმაგი რესორული ჩამოკიდების მქონე ვაგონების დინამიკა რესორული ჩამოკიდების სიხისტისა და სხვა ცვლადი პარამეტრების მხედველობაში მიღებით. განვითარდა მდგრადობის თეორია ვაგონის სწორხაზოვანი მოძრაობისას და მრუდე უბანში გავლის დროს. ვაგონი და რკინიგზა წარმოდგენილი იქნა, როგორც ერთიანი დინამიკური სისტემა და დამუშავდა შესაბამისი საანგარიშო მოდელები რხევათა სახეების დადგენის მიზნით. გამოკვლეულ იქნა ვაგონის ძარისა და ვაგონზე დამაგრებული მექანიზმების დრეკადი რხევები. გარდა თეორიული გამოკვლევებისა დამუშავდა ვაგონების დინამიკის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები «ვაგონი-ლიანდაგის» ერთიან დინამიკურ სისტემაში ლიანდაგის დრეკადობისა და სხვა პარამეტრების

გათვალისწინებით. ბოლო ხანებში გამოკვლეულ იქნა ხმაურისა და ვიბრაციების მოვლენები სამგზავრო ვაგონებისათვის. მოცემული კვლევების ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის კლასიკური მექანიკის საკითხების განვითარებას [31, 99, 103], როცა ჩამოყალიბდა კლასიკური მექანიკის ძირეული საკითხები, მყარი სხეულების დინამიკა და დასაბამი მიეცა ამ საკითხების განზოგადოების მოვლენას.

სატრანსპორტო მანქანა-დანადგარების შექმნისა და გამოკვლების პროცესში გათვალისწინებული იქნა წლობით შექმნილი ცოდნა კონტრაქტისა და ხახუნის შესახებ [17, 63, 109, 121]. მეცნიერთა ამ ნაშრომებში გამოკვლეული იქნა დარტყმების შედეგად წარმოშობილი კონტრაქტის ბუნება მანქანის მოძრავი ნაწილებისათვის. ჩამოყალიბდა ხახუნისა და მის შედეგად წარმოშობილი ცვეთის კატეგორიები, რომელიც გამოსადეგი გახდა სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში. კლასიფიკაცია მიეცა მშრალი და ზღვრული ხახუნის პირობებში მანქანების ნაწილების ზედაპირების დაზიანებისა და დაშლის მოვლენებს. მსგავსი მოვლენების კვლევა განხორციელდა მეცნიერთა ნაშრომებში [10, 62, 81, 94]. დამუშავდა დარტყმების თეორია, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნა მძიმედ დატვირთული მანქანა-დანადგარების დინამიკის შექმნის პროცესში. გამოკვლეული იქნა ორი ან რამდენიმე დამჯახებელი სხეულის ფორმის გავლენა ამ სხეულების სიჩქარის აღდგენის კოეფიციენტზე. გამოკვლეულ იქნა და გაანგარიშებული დარტმის მოვლენის შედეგად წარმოშობილი რეაქციის და სხვა დინამიკური ძალები ბარბაცას საკისარში, რომლის შედეგადაც მიჩნეული იქნა, რომ მანქანა-დანადგარებში ბარბაცა და მისი საკისარი წარმოადგენენ ყველაზე მძიმედ დატვირთულ ორგანოს. დადგინდა

სწრაფმოქმედ მანქანებსა და მექანიზმებში მექანიკური დარტყმების ინტენსიობა [87] და შესაბამისი სპექტრი.

ვაგონის დინამიკის ამოცანები უმეტეს შემთხვევაში დადის მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების ამოხსნამდე [25, 26]. არაწრფივობის გამო ეს განტოლებები არ ემორჩილება ამოხსნის ალგებრულ ხერხებს, ამიტომ საჭირო ხდება მათი ამოხსნა ელექტრო გამომთვლელ მანქანებზე რიცხვითი მეთოდების გამოყენებით. ამის გამო დამუშავდა სპეციალური რიცხვითი მეთოდები [4, 5, 68, 85, 110] არაწრფივი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების ამოხსნისათვის, რომლის დროსაც აუცილებელი ხდება მოძრაობის დიფრენციალური განტოლება მივიყვანოთ კოშის ნორმალურ ფორმამდე, ხოლო შემდეგ გადაწყდეს რუნგე-კუტტას მეთოდით [18, 56, 82, 84]. საბოლოოდ, ელექტრო გამომთვლელ მანქანაზე განტოლების ამოხსნისათვის საჭიროა: აიგოს მოვლენების მათემატიკური მოდელი, შეირჩეს რიცხვითი ამოხსნის მეთოდი, დამუშავდეს ალგორითმი და ბოლოს შესრულდეს კონტროლი ალგორითმის მიმართ [120].

მანქანების ან მისი შემადგენელი მექანიზმების ექსპლუატაციისას დაცული უნდა იყოს მისი კინემატიკური და დინამიკური მახასიათებლები. ამ მახასიათებლების დაუცველობა აუცილებლაად იწვევს მტყუვნებას. მტყუვნების მიზეზები სხვადასხვაა. შეიძლება იყოს კონსტრუქტორული, ტექნოლოგიური ან ცვეთა. პირველი შეიძლება იყოს კონსტრუქტორული არასრულყოფის შედეგი, მეორე გამომდინარეობს დამზადების ტექნოლოგიიდან, მესამე კი შეინიშნება ექსპლუატაციის დროს ხანგრძლივი ცვეთის შედეგად. მტყუვნებების კლასიფიკაციიდან [63] გამომდინარეობს, რომ მათ შორის ყველაზე

მნიშვნელოვანია ცვეთის მოვლენა, რომლის შედეგადც წარმოიშვება ღრეჩო.

პირველი მეცნიერული გამოკვლევა ღრეჩოების გათვალისწინებით [124] დაფუძნებული იყო გრაფიკულ ანალიზზე და პრაქტიკული გამოთვლებისათვის აღმოჩნდა მეტად შრომატევადი, ამიტომ ამ მეთოდმა შემდგომი გავრცელება ვერ პოვა. შემდგომში ჩატარდა მეცნიერული გამოკვლევები [12, 13, 14, 15, 16, 22] სიზუსტის შესახებ შეერთებებში ღრეჩოს გათვალისწინებით. ეს ნაშრომები გახდა საფუძველი დინამიკური გამოკვლევებისა ღრეჩოს არსებობის პირობებში.

დიდი ყურადღება დაეთმო ღრეჩოიანი საკვლევი ობიექტის დინამიკური მოდელის შექმნას. ნაშრომებში [2, 43, 66, 67, 101, 122] დინამიკური მოდელის აგების ძირითად პირობად მიიჩნიეს დებულება იმის შესახებ, რომ მანქანების შემადგენელი შემსრულებელი მექანიზმის მოძრაობისას, დიდი დინამიკური დატვირთვების პირობებში, შეიძლება მოხდეს ღრეჩოიანი შეერთებების ელემენტების მყისიერი დაშორება (წყვეტა), რომელიც სრულდება გარკვეულ დროში. ე.ი. შეიძლება მოხდეს ძალოვანი ჩაკეტილი კონტურის დაშლა იმდენ კონტურად, რამდენი ნაწილიცაა მოცემულ მექანიზმში. ცხადია ამ დროს თითოეულის მოძრაობა იქნება დამოუკიდებელი და ყოველი ნაწილის მოძრაობა აღიწერება დამოუკიდებელი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებით. ამ შემთხვევაში მთელი სისტემის მოძრაობა აღიწერება დამოუკიდებელი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების სისტემით.

შემდგომში დამუშავდა [40, 41, 42] დინამიკური მოდელი,

რომელიც შეიცავდა კონტაქტური დამყოლობის ჰერცის მოდელს და ასეთი მოდელი ცნობილი გახდა «დარტყმითი წყვილის» სახელწოდებით. ამ მოდელის საშუალებით შესაძლებელი გახდა განესაზღვრათ რეაქციის ძალები ღრეჩოიან შეერთებებში. მოდელის სიმარტივე საშუალებას ქმნიდა შედარებით მარტივი გარდაქმნებით ესარგებლათ ინჟინრული ამოცანების გადასწყვეტად.

გამოკვლევებში [86, 87] დამუშავებული იქნა დინამიკური მოდელი. რომლის აგების საფუძველი გახდა ღრეჩოებიანი შეერთების შიგა და გარე ელემენტების, როგორც ორი ურთიერთდამრტყმელი სხეულის ენერგიის შენახვის პრინციპი. ამ მოდელის მიხედვით შეერთების ორივე ელემენტი განხილულია ორ მდგომარეობაში – პირველი, როცა ღრეჩოებიანი შეერთების ორივე ელემენტი გვევლინება თავისუფალი სხეულის ფორმაში, ე.ი. ელემენტები ურთიერთშეხებაში არ არიან და მეორე, როცა ორივე სხეულს მოძრაობისას აკავშირებს კონტაქტი და გვევლინებიან დარტყმით ფორმაში, ცხადია, ამ დროს წარმოებს კონტაქტური მოძრაობა. ცხადია, დინამიკური მოდელის მიხედვით სავარაუდოა, რომ კონტაქტურ მოძრაობას ყოველთვის მოყვება ელემენტების თავისუფალი მოძრაობა და პირიქით, თავისუფალ მოძრაობას მოყვება კონტაქტის აღდგენა და შემდეგ კი კონტაქტური მოძრაობა.

დინამიკური მოდელის ახალი ვარიანტი დამუშავებული იქნა გამოკვლევებში [101, 102]. აქ ძირითადად განხილულია მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური მოდელი ღრეჩოებით სახსრულ შეერთებებში. მხედველობაშია მიღებული მექანიზმის რგოლებზე მოქმედი ძალები., აგრეთვე ღრეჩოებიან შეერთებებში აღძრული

რეაქციის და ხახუნის ძალის მნიშვნელობანი.

დამუშავებული მათემატიკური მოდელის მიხედვით [67] ჩატარდა ღრეჩოებიანი მექანიზმების კინემატიკური და დინამიკური გამოკვლევები. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ სახსრული შეერთებების შიგა და გარე ელემენტების გეომეტრიული ფორმა «იდეალური» და «რეალური» მექანიზმებისათვის ერთნაირია. აგრეთვე დადგინდა, რომ ცდომილებების ფორმულების გამოყვანისას მექანიზმების მახასიათებელი პარამეტრების ცდომილებად მიიღება სხვაობა მდებარეობის, სიჩქარის და აჩქარების სიდიდეებს შორის რეალური და იდეალური მექანიზმების ერთსახელა წერტილებისა მექანიზმების ერთნაირი მოძრაობის კანონის პირობებში [66]. გამოკვლეული იქნა ბრუნვითი და წინსვლითი სახსრული შეერთებების ელემენტების ურთიერთფარდობითი მოძრაობა. ასევე გამოკვლეული იქნა ელემენტების ფარდობითი მოძრაობა გარე ძალების მყისი ცვლილებებისას და დამუშავებული იქნა მეთოდები მექანიზმის პარამეტრების ცდომილებების გაანგარიშებისათვის ღრეჩოს არსებობის დროს. აქვე, ამავე შრომაში ახსნილია, რომ მექანიზმის დინამიკური ცდომილების ქვეშ იგულისხმება «რეალური» და «იდეალური» მექანიზმების ერთი და იმავე სახსრულ შეერთებაში არსებული რეაქციის ძალებს შორის სხვაობა, ამძრავი რგოლების ერთნაირი მდებარეობისა და ერთნაირი მოძრაობის კანონის არსებობისას. გამოყვანილია ფორმულები მექანიზმის დიაგნოსტიკური ცდომილებების შესახებ, გამოკვლეულია დარყმის მოვლენა მექანიზმის ბრუნვით და წინსვლით სახსრულ შეერთებებში, ამასთან ერთად დამუშავებულია დინამიკური ცდომილების გაანგარიშების მეთოდები.

ნაშრომში [66] მოცემულია ღრეჩოებიანი მექანიზმის კინემატიკური და დინამიკური კვლევის მეთოდიკა. განსაზღვრულია ღრეჩოებიან შეერთებაში რეაქციის ძალისა და დარტყმის სიჩქარის მნიშვნელობანი და ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი ღრეჩოიანი მექანიზმის კინეტოსტატიკური გამოკვლევებისას შესაძლებელია რეაქციის ძალა ღრეჩოს არეში გამოთვილი იქნას კინეტოსტატიკის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენებით. ამასთან მექანიზმების დინამიკური მახასიათებლები დამოკიდებულია ღრეჩოს განლაგებაზე მექანიზმის დანარჩემნი ღრეჩოების მიმართ. დამტკიცებულია, რომ ღრეჩოებით გამოწვეული [21] სიჩქარისა და აჩქარების ცდომილებანი შეიძლება ფარდობით დამოკიდებულებაში იყოს ძირითადი მოძრაობის იგივე პარამეტრებთან.

თუ გამოკვლევათა უმრავლესობა ღრეჩოებიანი მექანიზმების დინამიკის კვლევაში ატარებდა თეორიულ ან ექსპერიმენტალურ ხასიათს, ნაშრომში [2] მოცემულია თეორიულ-ექსპერიმენტალური კვლევა ლილვის მოძრაობისა საკისარში შეზეთვის გარეშე და 0,5-2 მმ ღრეჩოთი. ეს ნაშრომი საწყისი ეტაპია თეორიულ-ექსპერიმენტალური გამოკვლევებისა რეალური ღრეჩოებიანი მექანიზმების მიმართ. მოცემულ ნაშრომში რეალურ მექანიზმებთან პირველი მიახლოებით გამოკვლეული იქნა ლილვის ბრუნვის მოვლენა ინერციით საკისარში შეზეთვის გარეშე.

მექანიზმის სიზუსტისა და საიმედობის პრობლემებისადმი მიძღვნილია მთელი რიგი ნაშრომებისა [12, 13, 14, 15, 16, 100], რომლებშიც ნაჩვენებია, რომ მექანიზმის ან მოწყობილობის სიზუსტედ გვევლინება მასში არსებული დამოკიდებულებების მიახლოება იმ

მოცემულ დამოკიდებულებებთან, რომლის განხორციელებისათვის არის დაგეგმარებული და დამზადებული მექანიზმი. დამოკიდებულებანი გამოხატულია ამძრავი რგოლის კოორდინატებსა და გამომავალი რგოლის კოორდინატებს შორის. ნაჩვენებია, რომ მდებარეობის, სიჩქარისა და აჩქარების ცდომილებანი წარმოშობენ ღრეჩოებიან შეერთებაში ინერციის დამატებით ძალებს, რომლებიც ძლიერ საშიშია მექანიზმის სიმტკიცისა და საიმედობისათვის. ნაჩვენებია, რომ სიზუსტის თეორია არის მექანიზმების საიმედობის კვლევის საფუძველი. ნაშრომებში დიდი ყურადღება ექცევა ცდომილებათა გამოთვლის სიზუსტის მეთოდებს.

კინემატიკური და დიანამიკური სიზუსტის კვლევათა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს შრომას [100], რომელშიც ნაჩვენებია, რომ შრომაში გადმოცემული და შემოთავაზებული მეთოდები სიზუსტის შესახებ ვრცელდება მექანიზმთა ფართო წრისთვის სიზუსტისა და საიმედობის გამოთვლის მიზნით.

გამოთვლითი ტექნიკის გავითარებასა და სრულყოფასთან ერთად შესაძლებელი გახდა სიზუსტისა და საიმედობის პრობლემები გადაჭრილიყო უფრო ეფექტურად. გამოქვეყნდა შრომები [13. 14. 16] და გაჩნდა შესაძლებლობა სიზუსტის არაწრფივი თეორიის დახმარებით სხვადასხვა სახის ღრეჩოებიანი მექანიზმების გამოკვლევისა. ამ შრომებში მოცემული იქნა ახალი საერთო წესები მექანიზმის გამომავალი კოორდინატების ცდომილებების განსაზღვრისათვის იმ პირობებში, როცა კავშირი გამომავალ და შემავალ კოორდინატებს ან მის წარმოებულებს შორის აღიწერება როგორც ჩვეულებრივი, ასევე დიფერენციალური განტოლებებით.

ღრეჩოებიანი მექანიზმის მოდელირება უფრო რთულია, ვიდრე ერთგანზომილებიანი წრფივი სისტემისა. ეს აიხსნება იმით, რომ ღრეჩოებიანი მექანიზმის მოძრაობა აღიწერება არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებით, რომელთათვისაც როგორც წესი არ არსებობს ანალიზური გადაწყვეტა. ბოლო დროს მაღალსიჩქარიანი გამომთვლელი მანქანების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა ამ რიგის ამოცანების გადაწყვეტა. განხორციელდა ღრეჩოებიანი მექანიზების გამოკვლევა [66, 101, 122] მექანიზმის მათემატიკური მოდელის რაიმე გამარტივების გარეშე, რამაც შესაძლებელი გახადა წარმოდგენილიყო მოვლენის არა მარტო თვისობრივი სურათი, არამედ მიეცათ რაოდენობრივი შეფასება მექანიზმში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ღრეჩოებიანი მექანიზმის ან მოწყობილობების დინამიკური კვლევის გაგრძელებად მიიჩნევა ნაშრომები [40, 41, 42], რომლებშიც შედგენილია მექანიზმის მათემატიკური მოდელი ღრეჩოების თანხლებით და გამოყვანილია მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები. შედეგები მოცემულია როგორც ანალიზური, ასევე გრაფიკული ხერხით. დინამიკის ამოცანები გადაწყვეტილია ინტეგრების რიცხვითი მეთოდებით. გადაწყვეტილია სუფთა ინჟინრული ამოცანა, რომლის თანახმად მრუდმხარას ბრუნვის სიჩქარის მიხედვით გათვლილია ღრეჩოებისთვის საჭირო დაშვება ანდა პირიქით. საინტერესოა ამ გამოკვლევების ორი დასკვნა: მარტივი დინამიკური მოდელი საშუალებას იძლევა საჭირო სიზუსტით იქნას წარმოდგენილი ღრეჩოებიანი მექანიზმის მოძრაობა და მეორეს მხრივ ღრეჩოებიანი რთული მექანიკური სისტემის დინამიკური კვლევისას ეფექტურად მოიძებნოს გადაწყვეტა რიცხვითი მეთოდების

გამოყენებით. ნაშრომში [106] ღრეჩოებიანი დრეკადი მექანიზმების ანალიზის მიზნით შემოთავაზებულია სხვადასხვა მდგომარეობის რეგისტრაციის მეთოდი, რაშიც შეიძლება იმყოფებოდეს ღრეჩოებიანი მექანიზმი. ამ მეთოდის ღირსება მდგომარეობს დრეკადი მოდელის აგებაში, როცა ღრეჩოს მიხედვით შეიძლება მოძრაობის განტოლების შერჩევა მექანიზმის ყველა მდგომარეობისათვის.

ღრეჩოებიანი მექანიზმის ან მოწყობილობის დინამიკური კვლევის ამსახველ ნაშრომთა შორის დინამიკის სხვადასხვა საკითხის კომპლექსური გადაწყვეტის ნაშრომთა შორის, დინამიკის სხვადასხვა საკითხის კომპლექსური გადაწყვეტის მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონოგრაფიას [102], რომელშიც სიზუსტის არაწრფივ თეორიაზე დაყრდნობით ელექტროგამომთვლელი ტექნიკის დახმარებით განხორციელებულია ღრეჩოებიანი ბრტყელი მექანიზმის დინამიკური გამოკვლევა. აგებულია ღრეჩოებიანი მექანიზმის დინამიკური მოდელი, ამასთან მხედველობაშია მიღებული რეაქციისა და ხახუნის ძალები ღრეჩოებიან შეერთებებში, აგრეთვე ყველა გარე დინამიკური დატვირთვები. დამატებითი მოძრაობის განხილვა გულისხმობს, რომ განხილული იყოს მექანიზმი ცვალებადი სტრუქტურით და შედგეს მოძრაობის დიფერენციალური განტოლების სხვადასხვა სისტემები. საერთო მოდელირებადი ალგორითმი შედგენილია ისე, რომ მისგან მიღებული იყოს სტანდარტული და არასტანდარტული ნაწილები, ე.ი. ისე, რომ ბლოკ-სქემა დამუშავებული პროგრამისა დამოკიდებული არ იყოს გამოსაკვლევი მექანიზმის სახეობაზე. ნაჩვენებია აუცილებლობა იმისა, რომ მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას მიეცეს კოშის ნორმალური ფორმა, რის

შემდეგაც შესაძლებელია ამოიხსნას რუნგე-კუტტას მეთოდით [68, 85, 120].

ღრეჩოებიანი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის ანალიზური გამოკვლევის დროს [40, 42] ღრეჩოების ზეგავლენის აღსაწერად ბრტყელი მექანიზმის დინამიკაზე შემოთავაზებულია მარტივი მოდელი. გამოკვლეულია მექანიზმის მოძრაობის საერთო ფორმა, მოყვანილია დატვირთვების გაზრდის შედარებითი გაანგარიშების შედეგები ღრეჩოების სიდიდეებისა და გარე ზემოქმედების სიხშირეების მიხედვით.

ნაშრომებში [87,105] განსაზღვრულია მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის ღრეჩოს არეში ელემენტების ურთიერთდარტყმების ლოკალური სპექტრები. ნაჩვენებია, რომ ყველაზე ძლიერი დარტყმა ვითარდება რომელიმე მკვდარი წერტილის არეში, ხოლო ამ დროს მეორე მკვდარი წერტილის მახლობლად შეინიშნება დარტყმების ძლიერი ინტენსივობა. დამუშავებულია ქანქარისებრი მოდელი ღრეჩოებითა და ხაზებით, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს დარტყმების იმპულსური ხასიათი.

გამოკვლევაში [86] განხილულია მოძრაობის სამი ფორმა მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმისათვის და პირველად იძლევა მცდელობა დაუკავშირდეს ხმაურის მახასიათებელი და დარტყმითი სპექტრები. დამუშავებულია დინამიკური მოდელი მოძრაობის სამი ფორმის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ კონტაქტური ძალების განაწილება ღრეჩოს არეში იგივეა რაც შეერთებაში ღრეჩოს გარეშე. ამით აიხსნება მოძრაობის რაოდენობის გადანაწილება მოძრაობის ერთი ფორმიდან მეორეში.

უფრო გვიან ჩატარებულ იქნა ღრეჩოებიანი სფერული და ბრტყელი მექანიზმის დინამიკური კვლევა. ღრეჩოებიანი მექანიზმების სიზუსტის ამოცანა გადაწყვეტილი იქნა [44,51,52] ნაშრომებში, ხოლო პარალელურად დამუშავდა დინამიკური კვლევის ამოცანები [46,45,48] სფერული და ბრტყელი [47,49,50] მექანიზმებისათვის. ამავე საკითხებს მიეძღვნა ნაშრომები [116,117,118], რომლებშიც განხილულია რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის დინამიკა ღრეჩოების თანხლებით და პირველად იქნა შემოტანილი ცნება ცვლადი დეზაქსიალის შესახებ.

რეფრიჟერატორული ვაგონი წარმოადგენს რთულ კონსტრუქციას, რომელიც ძარისა და სავალი ნაწილის გარდა შეიცავს მძლავრ ენერგეტიკულ და სამაცივრო ტექნიკას, რომლის დანიშნულებაა ხელოვნური სიცივის შექმნა მალფუჭებადი პროდუქტის გადასატანად. არსებობს რეფრიჟერატორული [23,38,57] ვაგონებისა და მოძრავი შემადგენლობის სხვადასხვა სახეობა, რომელთა ტექნიკური გამართულობა და აღწერა მოცემულია დასახელებულ შრომებში. ნაჩვენებია, რომ დღეისათვის მოქმედებაშია 23 დ 21 ვაგონიანი რეფრიჟერატორიანი მატარებელი, ასევე 12 და 5 ვაგონიანი რეფრიჟერატორული სექციები და ავტონომიური რეფრიჟერატორული ვაგონები. იმის გამო, რომ მალფუჭებადი პროდუქტის მოცულობა დღითიდღე იზრდება, აუცილებელია არა მარტო რეფრიჟერატორული ვაგონების პარკის გადიდება, არამედ ამ ვაგონების თვისობრივი მახასიათებლების სრულყოფა და შენარჩუნება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება სამაცივრო ციკლის ნორმალური წარმართვას.

ნაშრომებში დახასიათებულია რეფრიჟერატორული სატვირთო,

ტექნიკურ-სამომსახურეო და ავტონომიური ვაგონები. მოცემულია მათი კონსტრუქციული სახეობანი და მანქანა-დანადგარების განლაგების სქემები. დაწვრილებითაა გადმოცემული სამაცივრო აგრეგატის დიზელის ძრავისა და სამაცივრო ტექნიკის მომსახურების პირობები. მითითებულია, რომ ეს ვაგონები მუშაობენ მეტად რთულ კლიმატურ პირობებში და გადაზიდვების სპეციფიკურობის გამო თვეების განმავლობაში მოკლებული არიან მომსახურებას სტაციონალურ პირობებში, ამიტომ ვაგონის თითოეული ძალური დანადგარი უნდა ხასიათდებოდეს დიდი სიმტკიცით, ნორმალური მუშაობითა და ხანგამძლეობით. ასეთი მიდგომა მეტად რეალურია და განსაკუთრებით სამაცივრო აგრეგატის დიზელის ძრავის მიმართ, რომლის გამართულ, ნორმალურ მუშაობაზეა დამოკიდებული სამაცივრო ციკლის მიმდინარეობა.

თუ ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში გადმოცემულია რეფრიჟერატორული ვაგონების სახეობანი და მოთხოვნები მანქანა-დანადგარების მუშაობის პირობის მიხედვით, გამოკვლევებში [32,36,37,38,57] მოცემულია სამაცივრო ტექნიკის მანქანებისა და დანადგარების აგებულება და მუშაობის პრინციპი. დასაბუთებულია, რომ ამ ტექნიკის სარულყოფა და საიმედობა ძირითადი პირობაა მალფუჭებადი ტვირთების ტრანსპორტირების დროს. დამუშავებულია კვების პროდუქტების სამაცივრო ტექნოლოგია, რათა არსებული სამაცივრო ტექნიკით სარგებლობისას შეინარჩუნოს თავისი სასაქონლო თვისებები. ნაშრომში [38] მოცემულია ყველა ის ძირითადი მოთხოვნები, რაც აუცილებელია მალფუჭებადი ტვირთის გადასაზიდად. ნაჩვენებია მალფუჭებადი ტვირთის სახეობანი და

კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მათი შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები. დამუშავებულია ხელოვნური სიცივის მიღების თეორიული საფუძვლები და განხილულია რეფრიჟერატორულ ვაგონში გამოყენებული სარკინიგზო სამაცივრო მანქანები. დახასიათებულია სამაცივრო აგენტები და მოცემულია რეკომენდაციები მათი გამოყენების მიზნით.

რეფრიჟერატორული ვაგონების უფრო ეფექტური სარგებლობის მიზნით აუცილებელია [108] მათი საიმედო და უმტყუვნო მუშაობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თავის მხრივ ვაგონების საიმედობა განპირობებულია მათი ძარისა და სავალი ნაწილის კონსტრუქციული შესრულებით, დამოკიდებულია იმ მასალათა ხარისხზე და მომსახურების ხანგრძლივობაზე, რომლისაგან დამზადებულია ვაგონის ნაწილები, დეტალებისა და კვანძების დამუშავებისა და აკრების ტექნოლოგიაზე, აგრეთვე მასზედ, თუ როგორ გამოიყენება ისინი– დროულად და შეგნებულად განიცდიან თუ არა ტექნიკურ მომსახურებას. აქედან გამომდინარე რეფრიჟერატორული ვაგონების საქარხნო თუ სადეპოო შეკვეთების ხარისხს, რომელიც გათვლილია მანქანა-დანადგარების გამართულ და უმტყუვნო მუშაობაზე მთელი შეკეთებათაშორისი პერიოდის განმავლობაში, წაეყენება ძალიან დიდი მოთხოვნები. ამასთან ერთად აუცილებელია, რომ ვაგონის კონტრუქციული და ტექნოლოგიური სრულყოფის საფუძველზე განუხრელად გაიზარდოს შეკეთებათაშორისი პერიოდი, შემცირდეს შეკეთების ხარჯები და საექსპუალატაციო მასალები.

რეფრიჟერატორული ვაგონების საიმედობისა და ნორმალური

მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ჩატარდეს მათი სადეპოო და საქარხნო კაპიტალური შეკეთება შეკეთებათაშორისი პერიოდის გასვლის შემდეგ. მოთხოვნები შეკეთებისა და მისი ვადების შესახებ მრავალი მეცნიერის შრომებშია მოცემული [55,93,96,108]. გადმოცემულია რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის ნორმები და საშუალებანი. დიდი ყურადღება ეთმობა სადეპოო და ქარხნული შეკეთების საერთო წესებისა და ნორმების დამუშავებას. განხილულია რეფრიჟერატორული ვაგონის შეკეთების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის საკითხები. მოცემულია შეკეთების ციკლების მნიშვნელობანი, დახასიათებულია შეკეთების სახეები. დიდ მნიშვნელობა ენიჭება რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის მომზადებას შესაკეთებლად და დადგენილია შეკეთებისათვის აუცილებელი საშუალებანი. დახასიათებულია სადეპოო და საქარხნო შეკეთების ორგანიზაცია. მინიშნებულია, რომ აუცილებელია ჩატარდეს შეკეთების ხარისხისადმი საბოლოო კონტროლი.

დადგენილია, რომ შეკეთებისას აუცილებელია განისაზღვროს ყოველი დეტალის ცვეთის ხარისხი, მოხდეს მათი დიაგნოსტიკური და მეტროლოგიური შემოწმება. აუცილებელია განხორციელდეს საბოლოო შემოწმება დეფექტოსკოპირების საშუალებით. ამ ნაშრომებში შემოთავაზებულია დეტალების შეკეთების თანამედროვე მეთოდები და საშუალებანი. გამოკვლეულია მიზანშეწონილობა პოლიმერული და სხვა თანამედროვე მასალების გამოყენებაზე.

დიდი ყურადღება ეთმობა ძირითადი დანადგარების შეკეთების

ხარისხს. შექმნილია თანამედროვე მეთოდები ლიზელის ძრავის, კომპრესორების, სამაცივრო დანადგარებისა და ავტომატიკის ხელსაწყოების შესაკეთებლად. შექმნილია დიაგნოსტიკური მეთოდები დაზიანებათა არმოსაცნობად და გლობალური შემოწმებისათვის.

რეფრიჟერატორული ვაგონის მუშა ციკლი ხორციელდება ძალური დანადგარებისა და მაცივარი მანქანის საშუალებით. ძალური დანადგარებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს სამაცივრო მუშა ციკლის წარმართვისათვის წარმოადგენს დიზელის ძრავი. დიზელის ძრავის სახეობანი რეფრიჟერატორული ვაგონისათვის გადმოცემულია შრომებში [83,93,97,108], სადაც მეცნიერულ დონეზეა გადაწყვეტილი მათი საექსპლოატაციო პირობების დადგენა და საიმედო მუშაობისათვის აუცილებელი მოთხოვნები. გადმოცემულია დიზელის ძრავის მუშა პროცესის მახასიათებლები და ტექნიკური თერმოდინამიკის ძირითადი ცნებები. დადგენილია ძირითადი პარამეტრები რეგულირებისა და მუშაობის რეჟიმების მიმართ, ასევე გაანალიზებულია დიზელის ძრავის სხვა სისტემების მუშაობის პრინციპები. განხილულია ავტონომიური ვაგონისა და ხუთ და თორმეტვაგონიანი სექციების დიზელების სპეციფიკური კონსტრუქციები და აგებულება. დასაბუთებულია ცნობები დამახასიათებელი უწესივრობებისა და მიმდინარე ტექნიკური მომსახურების შესახებ. ჩატარებულია სისტემური კლასიფიკაცია ძირითადი უწესივრობისა, ჩამოყალიბებულია მათი აღძვრის მიზეზები და გადაწყვეტილია ამ უწესივრობათა აღმოფხვრის ამოცანა.

რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შეკეთების შესახებ

მეცნიერულად ჩამოყალიბებული [108] დებულებანი საშუალებას იძლევა სწორად და მაღალხარისხოვნად წარიმართოს პირველ რიგში დიზელის დიაგნოსტიკა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ განხორციელდეს მისი ნაწილების სრულყოფილი შეკეთება.

დიზელის ძრავის შემსრულებელ ორგანოს, რომელსაც ბრუნვით მოძრაობაში მოყავს ძრავის მუხლა ლილვი, წარმოადგენს მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი. იგი შეიცავს მრუდმხარას, ბარბაცას და დგუშს. საერთოდ მიღებული [108,74] დებულებანი ამ ელემენტების შეკეთების შესახებ უზრუნველყოფს შეკეთების ხარისხს და მის შემდგომ ექსპულატაციას, მაგრამ შეკეთების მეთოდიკაში არ არის ჩადებული რეალური დაშვებები, რომლებიც აუცილებელია მექანიზმის შემდგომი ექსპლუატაციის დროს. ცხადია, შეკეთებისას გათვალისწინებულია ღრეჩოს დაშვებები ნახვრეტისა და ლილვის მიმართ, მაგრამ რეალურ საექსპლუატაციო პირობებში ეს დაშვებები ვერ უზრუნველყოფს შემსრულებელი მექანიზმის საიმედო მუშაობას.

უკვე არსებული გამოკვლევების [8,66,71,89,91,112] არასრული ნუსხა შეიცავს შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკურ და კინემატიკურ გამოკვლევებს, მაგრამ გაანგარიშებანი შესრულებულია მექანიზმის საპროექტო მაჩვენებლების მიხედვით იდეალიზებული პარამეტრებით. პრაქტიკულად საექსპლუატაციო სიდიდეები, მოცემული მოძრაობის პირობებში, საგრძნობლად აღემატებიან მაჩვენებლებს იდეალური მაქანიზმის შემთხვევაში.

როგორც უკვე აღინიშნა დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის სახსრულ მექანიზმებში, შეერთებების შიგა და გარე

ელემენტების მუშა მოსრიალე ზედაპირების ხახუნისას აღებული აქვს ამ ზედაპირების ცვეთის მოვლენას. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ცვეთის სიდიდეც შესაბამისად იზრდება, რომლის შედეგადაც შეერთებაში არსებული ტექნოლოგიური ღრეჩოს გეომეტრიული ზომები პროპორციულად იცვლება. გაზრდილი ღრეჩოს შემთხვევაში მექანიზმის მოძრაობისას შეერთების შიგა ელემენტი ასრულებს რა ფარდობით კონტაქტურ მოძრაობას გარე ელემენტის მიმართ, ზარბაცას ინერციის ან დგუშზე მოსული გარე ძალის მოქმედებით მყისიერად მოწყდება გარე ელემენტს და იწყებს თავისუფალ გადაადგილებას ღრეჩოს არეში. თავისუფალი მოძრაობა შიგა ელემენტისა მთავრდება დარტყმითი მოვლენით გარე ელემენტის მიმართ, რომლის დროსაც რეაქციის ნორმალური მდგენელი რამდენიმე ათეულჯერ აღემატება მის საპროექტო საანგარიშო მნიშვნელობას. ამ მოვლენის შემდეგ მყარდება მოძრაობა გარდამავალი რეჟიმით და ადგილი აქვს ხელახალი თავისუფალი და კონტაქტური მოძრაობის მონაცვლეობას. შეერთების ღრეჩოს არეში წყვეტისა და კონტაქტის წერტილების რაოდენობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ღრეჩოს გეომეტრიულ ზომასთან. ღრეჩოს გადიდებით იზრდება დინამიკური დატვირთვები როგორც ღრეჩოს არეში, ასევე მექანიზმის თითოეული რგოლისათვის. დინამიკური დატვირთვები იმდენად დიდია და მყისიერი, რომ ადგილი აქვს როგორც საყრდენი საკისრების დიდ ცვეთას და ჩაშლას, ასევე ზარბაცას გადაღუნვას მოძრაობის სიბრტყეში, მის გრეხას და გატეხვასაც კი. გაზრდილი ინერციის ძალებისა და რეაქციის ნორმალური მდგენელის მოქმედების გამო დგუშის ზედაპირი

განიცდის ცვეთას მოძრაობის მართობ სიბრტყეში.

რადგან დიზელის ძრავი მუშაობს რთული დინამიკური დატვირთვებისა და მყისიერად მოქმედი ძალების პირობებში, რომლებიც გამოწვეულია გაზრდილი ღრეჩოს არსებობით შეერთებების ელემენტებს შორის, საექსპლუატაციო მუშაობის ნებისმიერ დროს მოსალოდნელია მისი შემსრულებელი მექანიზმის რომელიმე ელემენტის მწყობრიდან გამოსვლა, რაც უმძიმეს შედეგებთან არის დაკავშირებული. ამ მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს სამაცივრო ციკლის ჩაშლა. ამის გამო აუცილებელია ჩატარდეს რეალური შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის გამოკვლევა ღრეჩოების გათვალისწინებით ყველა სახსრულ შეერთებაში. მაშინ შეიძლება დადგენილი იქნას ყველა ამ მყისიერად არძრული რეაქციის ძალების მნიშვნელობანი, დარტყმის მოვლენისას დიდი დინამიკური დატვირთვები, რომლებიც აუარესებენ შემსრულებელი მექანიზმის მუშაობას, განისაზღვროს იმ ოპტიმალური ღრეჩოს გეომეტრიული პარამეტრები, რომელიც იქნება უსაფრთხო მექანიზმის მუშაობისათვის.

აუცილებელია გარკვეული თეორიული გამოკვლევების ჩატარება დიზელის ძრავის შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის მიმართ, ყველა სახსრულ შეერთებაში გაზრდილი ღრეჩოს გათვალისწინებით, რათა დადგინდეს ღრეჩოს მიზეზით გამოწვეული დინამიკური დატვირთვები, გადაიჭრას მექანიზმის მახასიათებელი პარამეტრების სიზუსტის ამოცანა და შეირჩეს ის ოპტიმალური ღრეჩო, რომლის შესაბამისი დინამიკური დატვირთვები უსაფრთხო იქნება დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის უმტყუვნო

მუშაობისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკვლევი ამოცანები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასეთი სახით:

1. რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური მოდელის ფორმალიზაცია;
2. მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის რეაქციის ძალების და ცვლადი პარამეტრების გამოკვლევა;
3. შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური სიზუსტის ანალიზური გამოკვლევა;
4. შემსრულებელი მექანიზმის დამატებით მოძრაობათა დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების შედგენა;
5. ღრეჩოს სიდიდის გავლენა შემსრულებელი მექანიზმის ძირითად დინამიკურ პარამეტრებზე და დიზელის ძრავის ხანგამძლეობაზე.

თავი II. რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური მოდელის ფორმალიზაცია

2.1. დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის ძირითადი კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების მათემატიკური ინტერპრეტაცია

რკინიგზის ავტონომიური და რეფრიჟერატორული მოძრავი შემადგენლობის ვაგონებში ძირითადად გამოყენებულია ოთხი ან ექვსიცილინდრიანი დიზელის ძრავები. დიზელის ძრავის დანიშნულებაა მოქმედებაში მოიყვანოს გენერატორი, საიდანაც გამომუშავებული ელექტროენერგია მოიხმარება ვაგონის სამაცივრო და საკონდიციონერო დანადგარების მიერ. დიზელის ძრავა გამოირჩევა სამუშაო დროის დიდი რესურსით.

რეფრიჟერატორული ვაგონების სამაცივრო მუშა კამერებში საჭირო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება დამოკიდებულია ენერგეტიკული დანადგარების გამართულ, უმტყუვნო მუშაობაზე. ენერგორესურსის გამომუშავება (ერგ) ენერგობლოკიდან (ებ) და მისი ტრანსფორმაცია (ერტ) სამაცივრო ციკლის უზრუნველსაყოფად (სცუ) მიმდინარეობს მოცემული სქემის მიხედვით (ნახ.2.1.), მხოლოდ და მხოლოდ დიზელის ძრავის გამართული მუშაობისას, რომლის ძირითად მუშა შემსრულებელ ორგანოს წარმოადგენს მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი.



ნახ.2.1. სამაცივრო ციკლის უზრუნველყოფის სქემა

მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი წარმოადგენს ბრტყელ მექანიზმს, რომლის ბრუნვით 0-1, 1-2, 2-3 კინემატიკურ წყვილებში და ასევე 3-0 წინსვლით წყვილში OA, AB რგოლებისა და დგუშის ტექნოლოგიური აკრებისა და შემდგომი მუშაობის მიზნით დაშვებულია განსაზღვრული გეომეტრიული ზომის ღრეჩოები (ნახ. 2.2.). მრუდმხარა-ბარბაცა OAB მექანიზმი თავდაპირველად შეიძლება განვიხილოთ როგორც გამართულად მომუშავე სისტემა უცვლელი გეომეტრიული და დინამიკური პარამეტრებით. ცხადია ეს იქნებოდა იდეალურად მომუშავე მექანიზმი, ამიტომ მას შეიძლება ვუწოდოთ «იდეალური» მექანიზმი. დიდი ხნის მუშაობის შედეგად ამ მექანიზმის სახსრულ შეერთებაში ჩნდება გაზრდილი ღრეჩოები, რომლის შედეგადაც იზრდება რგოლების დინამიკური დატვირთვები, ე.ი. გადადის «რეალური» დინამიკური ზემოქმედების ქვეშ. მაშინ, როცა OAB მექანიზმი მუშაობს ცვლადი კინემატიკური და დინამიკური დატვირთვების თანხლებით, მას შეიძლება ვუწოდოთ «რეალური» მექანიზმი.



ნახ. 2.2. რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი

მოვახდინოთ იმ კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების კონკრეტიზაცია, რომლითაც ხასიათდება “იდეალური” OAB მექანიზმი (ნახ. 2.2.). მექანიზმი მოთავსებულია XOY უძრავ მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში ისე, რომ მისი სათავე ემთხვევა მექანიზმის OA მრუდმხარას ბრუნვის 0 ცენტრს. ამ წერტილში გადის დიზელის ძრავის მუხლა ლილვის გრძივი სიმეტრიის ღერძი ნახაზის სიბრტყის მართობულად. ვითვალისწინებთ დაშვებას იმის შესახებ, რომ მექანიზმის ყველა რგოლი აბსოლუტურად ხისტია და გეომეტრიულად ერთგვაროვანი. მრუდმხარას სიგრძეა r, ბარბაცასი l , ხოლო დგუშის სვლა აღნიშნულია S-ით. დგუშზე მოდებულია სასარგებლო წინაღობის $F_{სწ}$ ძალა. რგოლების ერთგვაროვნების გამო სიმძიმის შესაბამისი ძალები G_2 და G_3 მოდებულია მათ გეომეტრიულ K და B ცენტრებში. ეს წერტილები ამავე დროს მათი მასების ცენტრებია. რგოლების

სახსრულ შეერთებაში მოქმედებს რეაქციის ძალების ნორმალური F^n და ტანგენციალური F_t ძალები.

მიღებულია, რომ OA მრუდმხარას შემობრუნება დროის მიხედვით თანაბარია და მისი მობრუნების კუთხური სიჩქარეც მუდმივია

$$co = \dot{\alpha}(t\ ) = const. \qquad (2.1)$$

OAB მექანიზმის საწყისი მდგომარეობისთვის, ე.ი. მოძრაობის დასაწყისში $\alpha = 0$ და მას უჭირავს OA_0B_0 მდებარეობა. მრუდმხარას α კუთხით მობრუნებისას იგი გვევლინება OAB მდებარეობაში, ხოლო მრუდმხარას 180^0-ით შემობრუნებისას მისი A_1OB_1 მდებარეობა დაემთხვევა OX საკოორდინატო ღერძს. ამ ორი მდებარეობით განისაზღვრება დგუშის სრული S სვლის სიდიდე. შეიძლება დავწეროთ:

$$S = X_{B(\max)} - X_{B(\min)} \qquad (2.2)$$

დგუშის გადაადგილება OX ღერძის გასწვრივ შეიძლევა ჩაიწეროს ასეთი ფუნქციონალური დამოკიდებულებით

$$X_B = X_B(\alpha, r, l, \beta). \qquad (2.3)$$

სახსრულ შეერთებებში მოქმედი რეაქციის ნორმალური და ტანგენციალური მდგენელები ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია მექანიზმის გეომეტრიულ და ძალურ მახასიათებლებთან. რეაქციის ნორმალური მდგენელის მიმართ შეიძლება დაიწეროს:

$$F_1^n = F_1^n(\alpha, r, l, \beta, G_2). \qquad (2.4)$$

ამავე, დროს 1-2 სახსრულ შეერთებაში რეაქციის ტანგენციალური მდგენელის მიმართ ვწერთ:

$$F_t^{1-2} = F_t^{1-2}(\alpha, r, l, \beta, G_2). \qquad (2.5)$$

თუ მოცემულ OAB მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის წარმოვადგენთ

“რეალური” სისტემის სახით, მაშინ საძიებელი კინემატიკური და დინამიკური პარამეტრები ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იქნება სახსრულ შეერთებაში არსებულ ღრეჩოების გეომეტრიულ ზომებთან. ამ შემთხვევაში მექანიზმის ბარბაცას სიგრძის მიმართ შეიძლება დაიწეროს:

$$l = l\left[\left(l + \sum \Delta_i\right), \left(l - \sum \Delta_i\right)\right], \tag{2.6}$$

სადაც Δ_i წარმოადგენს ღრეჩოს გეომეტრიულ ზომას i-ურ შეერთებაში.

ასევე, დგუშის გადაადგილება სახსრულ შეერთებაში ღრეჩოების გათვალისწინებით შეიძლება მოცემული იქნას შემდეგი დამოკიდებულებით:

$$X_B = X_B\left[\alpha, r, \beta, \left(l \pm \sum \Delta_i\right)\ \right] \tag{2.7}$$

(2.2.) გამოსახულება სახსრულ შეერთებებში ღრეჩოების გათვალისწინებით ჩაიწერება ასეთი ფუნქციონალური დამოკიდებულებით:

$$S = X_{B(\max)}\left[\alpha, r, \beta, \left(l \pm \sum \Delta_i\right)\right] - X_{B(\min)}\left[\alpha, z, \beta, \left(l - \sum \Delta_i\right)\right] \tag{2.8}$$

სახსრულ შეერთებებში არსებული Δ_i ღრეჩოს გეომეტრიული ზომების გათვალისწინებით რეაქციის ნორმალური და ტანგენციალური მდგენელი შეიძლება გამოისახოს დამოკიდებულებებით:

ა) 1-2 შეერთებისათვის

$$\left.\begin{aligned} F_1^n &= F_1^n\left[\alpha, r, \beta, G_{2,}\left(l \pm \sum \Delta_i\right)\right] \\ F_t^{1-2} &= F_t^{1-2}\left[\alpha, r, \beta, G_2, \left(l \pm \sum \Delta_i\right)\right] \end{aligned}\right\} \tag{2.9}$$

ბ) 2-3 შეერთებისათვის

$$\left.\begin{aligned} F_2^n &= F_2^n\left[\alpha, r, \beta, G_2, \left(l \pm \sum \Delta_i\right)\right] \\ F_t^{2-3} &= F_t^{2-3}\left[\alpha, r, \beta, G_2, \left(l \pm \sum \Delta_i\right)\right] \end{aligned}\right\} \tag{2.10}$$

2.2. შემსრულებელი მექანიზმის ღრეჩოებიანი წინსვლითი წყვილის მოძრაობის კლასიფიკაცია და დინამიკური ანალიზი

შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცას მექანიზმის სახსრულ შეერთებებში არსებული გაზრდილი ღრეჩოები უარყოფითად მოქმედებენ მექანიზმის დინამიკაზე, იქმნება დიდი დინამიკური დატვირთვები, რის შედეგადაც ადგილი აქვს რგოლების თვითდაშლასაც კი. მსგავსი მოვლენების აცილების მიზნით აუცილებელია დადგინდეს დასაშვები ღრეჩოს მნიშვნელობა სახსრულ შეერთებებში და განსაკუთრებით კი წინსვლით კინემატიკურ წყვილში. ამისთვის საჭიროა გამოვიკვლიოთ დგუშის მოძრაობა ღრეჩოს არეში მიმმართველი (მუშა) ცილინდრის მიმართ და ჩავატაროთ მოძრაობის დინამიკური ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში წინსვლითი კინემატიკური წყვილი Δ ღრეჩოთი (ნახ. 2.3.) წარმოადგენს დგუში-ცილინდრის კვანძს. ცხადია, Δ ღრეჩო არსებობს დგუშის, როგორც მთლიანი ცილინდრისა და გარე ღრუ მიმართველი მუშა ცილინდრის ჭრშემო ნებისმიერ წერტილში, მაგრამ იმის გამო, რომ მოცემული წინსვლითი წყვილი წარმოადგენს ბრტყელი OAB (ნახ. 2.2.) მექანიზმის ნაწილს, ამიტომ დგუშის მოძრაობის ცვლილებას განვიხილავთ მხოლოდ ნახაზის XOY სიბრტყაში.



ნახ.2.3. წინსვლითი წყვილი ღრეჩოთი

ამოცანის გადაწყვეტის მიზნით მოვათავსოთ წინსვლითი წყვილი XOY უძრავ მართკუთხა საკოორდინატო სისტამაში ისე, რომ სისტემის OX ღერძი გადიოდეს წინსვლითი წყვილის სიმეტრიის ღერძზე (ნახ. 2.3.) და დგუშზე მოდებული $F_{სწ}$ სასარგებლო წინაღობის ძალა ემთხვეოდეს OX ღერძის მიმართულებას.

დგუშის მოძრაობის დახასიათებისა და შემდგომი კლასიფიკაციის ამოსავალ დებულებად მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ Δ ღრეჩოს არსებობის გამო დგუში ასრულებს რთულ მოძრაობას– წინსვლითს OX საკოორდინატო ღერძის გასწვრივ და ამავე დროს ბრუნვითს ნახაზის სიბრტყეშო O_1 მასების ცენტრის გარშემო. საკოორდინატო OY ღერძის მიმართ გადაადგილებისას მისი სიმძიმის ცენტრი O_1 მოექცევა OX მიმმართველი ღერძის მიმართ როგორც ერთ, ისევე მეორე მხარესაც. ამის გამო დგუშის გარე და ცილინდრის შიგა ზედაპირს შორის არსებულ ღრეჩოს ველში დგუშის O_1 ცენტრის მოძრაობა შეუზღუდავია. წარმოიშვება ცვლადი გეომეტრიული ზომის e დეზაქსიალი, რომლის მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს O-დან Δ-ს გეომეტრიულ ზომამდე. გამოდის, რომ e ცვლადი დეზაქსიალის

არსებობის გამო მოცემული შემსრულებელი აქსიალური მექანიზმი შეიძლება გადაიქცეს დეზაქსიალურ მექანიზმად.

ზემოთქმულის მხედველობაში მიღების შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დგუშის შესაძლო მოძრაობის სამი სახე: ა) დგუშის გეომეტრიული და ამავე დროს სიმძიმის O_1 ცენტრი მოძრაობისას გადაადგილდეს OX საკოორდინატო ღერძის გასწვრივ და ემთხვეოდეს მას. ამ შემთხვევაში e დეზაქსიული ნულის ტოლია და მექანიზმი ინარჩუნებს მის აქსიალობას; ბ) მოძრაობისას დგუშის O_1 მასების ცენტრი მოთავსებულია საკოორდინატო და ამავე დროს ცილინდრის OX ღერძის ერთ მხარეს. ამ დროს წარმოიშვება e დეზაქსიალი და მექანიზმიც ხდება დეზაქციალური; გ) დგუშის O_1 მასების ცენტრი მოძრაობს OX ღერძის მეორე მხარეს. ამ დროს წარმოიშვება e დეზაქსიალი და მექანიზმსაც ენიჭება დეზაქსიალურობა.

დგუშის მოძრაობის პირველი სახე ნულოვანი დეზაქსიალის არსებობისას შეიძლება დავახასიათოთ შედეგი სქემის მიხედვით (ნახ.2.4). ასეთი მოძრაობისას დგუშს შეიძლება გააჩნდეს ხუთი სახის მოძრაობა:



ნახ. 2.4. დგუშის მოძრაობის პირველი სახე, $e = 0$.

1. თავისუფალი პარალელური გადაადგილება საკოორდინატო OX ღერძის გასწვრივ მიმმართველი ცილინდრის მიმართ (ნახ. 2.4, ა);
2. კონტაქტური მოძრაობა წყვილწერტილოვანი კონტაქტით XOY სიბრტყეში

OX ღერძის მიმართ საათის ისრის ბრუნვის საწინააღმდეგო

მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.4,ბ.);

3. კონტაქტური მოძრაობა წყვილწერტილოვანი კონტაქტით XOY სიბრტყეში OX ღერძის მიმართ საათის ისრის ბრუნვის მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.4,გ.);
4. თავისუფალი უკონტაქტო მოძრაობა ღრეჩოს არეში XOY სიბრტყეში OX ღერძის მიმართ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.4,დ.);
5. თავისუფალი უკონტაქტო მოძრაობა OX ღერძის მიმართ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.4,ე.).

ჩვენს შემთხვევაში დგუშის მდებარეობის განსაზღვრისთვის შევირჩიოთ კვეთის c(x;y) წვერო, ხოლო მობრუნების კუთხედ ავიღოთ C წვეროზე გამავალი დიაგონალის მობრუნების γ კუთხე OX ღერძის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დგუშისა და ცილინდრის კონტაქტის დროს რეაქციის ნორმალური F^n მდგენელი მიმართულია ვერტიკალურად ცილინდრების ღერძის მიმართ, ხოლო კონტაქტის წერტილში წარმოშობილი ტანგენციალური მდგენელი ანუ იგივე ხახუნის $F_{ხახ}$ ძალა მიმართულია ცილინდრის მსახველის გასწვრივ დგუშის მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ, მაშინ დგუშის პირველი სახის მოძრაობა, როცა $e=0$, მათემატიკურად შეიძლება ჩაიწეროს შედეგი გამოსახულებებით:

ა – ცილინდრის მიმართ თავისუფალი პარალელური მოძრაობა

$$\left.\begin{array}{l} F^n = 0;\ F_{ხახ} = 0; \\ X = b;\ y = a; \\ \gamma = 0;\ e = 0; \end{array}\right\} \qquad (2.11)$$

ბ – კონტაქტური მოძრაობა წყვილწერტილოვანი კონტაქტით

$$\left.\begin{aligned}&F^{n} > 0;\ F_{\text{ხახ}} > 0;\\&x < b;\ y = a + \Delta;\\&\gamma = azctg\frac{y}{x};\ e = 0.\end{aligned}\right\}\tag{2.12}$$

გ – კონტაქტური მოძრაობა წყვილწერტილოვანი კონტაქტით

$$\left.\begin{aligned}&F^{n} > 0;\ F_{\text{ხახ}} > 0;\\&x > b;\ y > a + \Delta;\\&\gamma = azctg\frac{y}{x};\ e = 0.\end{aligned}\right\}\tag{2.13}$$

დ – თვისუფალი უკონტაქტო მოძრაობა

$$\left.\begin{aligned}&F^{n} = 0;\ F_{\text{ხახ}} = 0;\\&x < b;\ y < a + \Delta;\\&y = azctg\frac{y}{x};\ e = 0.\end{aligned}\right\}\tag{2.14}$$

ე – თვისუფალი უკონტაქტო მოძრაობა

$$\left.\begin{aligned}&F^{n} = 0;\ F_{\text{ხახ}} = 0;\\&x > b;\ y < a + \Delta;\\&\gamma = azctg\frac{y}{x};\ e = 0.\end{aligned}\right\}\tag{2.15}$$

განვიხილოთ მიმმართველი ცილინდრისადმი დგუშის მოძრაობის მეორე სახე, როცა მოცემული Δ ღრეჩოს პირობებში მისი მასების 0 ცენტრი მოთავსებულია ცილინდრისა და საკოორდინატო სისტემის OX ღერძის ერთ მხარეს (ნახ.2.5). აქ შეიძლება განხორციელდეს ექვსი სახის მოძრაობა დგუშისა ცილინდრის მიმართ:

1. დგუშის თავისუფალი პარალელური მოძრაობა, როცა დგუშის მდებარეობა ფიქსირდება e დეზაქსიალით და C წერტილის x და y კოორდინატებით (ნახ. 2.5,ა);
2. დგუშის კონტაქტური პარალელური მოძრაობა მსახველების

ხაზოვანი კონტაქტის პირობებში (ნახ. 2.5,ბ);

3. კონტაქტური მოძრაობა წერტილოვანი კონტაქტით XOY სიბრტყეში OX ღერძის მიმართ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.5,გ);
4. კონტაქტური მოძრაობა წერტილოვანი კონტაქტით OX ღერძის მიმართ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.5,დ);
5. თავისუფალი უკონტაქტო მოძრაობა Δ ღრეჩოს არეში საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.5,ე);
6. თავისუფალი უკონტაქტო მოძრაობა Δ ღრეჩოს არეში საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით მობრუნებისას (ნახ. 2.5,ვ).

Y ა) C(x,y) 0 ω 0

ბ) C $F_{ხახ}$ 0 F^n X ω

Y გ) $F_{ხახ}$ F^n 0 0 γ ω

დ) 0 C X ω

Y ე) C ω 0 0 ω

ვ) C 0 X



ნახ.2.5. დგუშის მოძრაობის მეორე სახე, $e \neq 0$

დგუშის მოძრაობის მეორე სახე მიმმართველი ცილინდრის მიმართ მოცემული ცვლადი e დეზაქსიალის პირობებში შეიძლება ავსახოთ შემდეგი ტოლობებისა და უტოლობების საშუალებით.

ა – თავისუფალი პარალელური მოძრაობა ცილინდრის მიმართ

$$\left.\begin{aligned} &F^{n}=0;\ F_{\text{ხახ}}=0; \\ &x=b;\ y<a+\Delta; \\ &\gamma=0;\ e>0. \end{aligned}\right\} \tag{2.16}$$

ბ – კონტაქტური მოძრაობა ხაზოვანი კონტაქტით

$$\left.\begin{array}{l} F^{n} > 0;\ F_{\text{ხახ}} > 0; \\ x = b;\ y = a + \Delta - e; \\ \gamma = 0;\ e > 0. \end{array}\right\} \qquad (2.17)$$

გ – კონტაქტური მოძრაობა წერტილოვანი კონტაქტით

$$\left.\begin{array}{l} F^{n} > 0;\ F_{\text{ხახ}} > 0; \\ x < b;\ y = a + \Delta; \\ \gamma = azctg\dfrac{y}{x};\ e > 0. \end{array}\right\} \qquad (2.18)$$

დ – კონტაქტური მოძრაობა წერტილოვანი კონტაქტით

$$\left.\begin{array}{l} F^{n} > 0;\ F_{\text{ხახ}} > 0; \\ x > b;\ y < a + \Delta; \\ \gamma = azctg\dfrac{y}{x};\ e > 0. \end{array}\right\} \qquad (2.19)$$

ე – თავისუფალი კონტაქტური მოძრაობა

ნახ. 5.6. დამატებითი მოძრაობა 2-3 სახსრული შეერთების ღრეჩოს არეში ღრეჩოს ა) $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ და ბ) $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ

მნიშვნელობისა და ხახუნის $K_{\text{ხახ}} = 0{,}001$ კოეფიციენტის დროს

წინსვლით 3-0 კინემატიკურ წყვილს ახასიათებს მსგავსი წყვეტისა და კონტაქტის წერტილები ღრეჩოს არეში $K_{\text{ხახ}} = 0{,}001$ ხახუნის კოეფიციენტისა $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$მმ ღრეჩოს არსებობისას. ამ დროს აღძრული რეაქციის ძალები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$F_3^n = \Big\{ m_3 b \sin\delta \big[\ddot{x}_1 - \ddot{x}_2 - r\omega^2 \sin\alpha - tg\beta \big(\ddot{y}_1 + \ddot{y}_2 - \ddot{y}_3 - r\omega^2 \sin\alpha + l\dot{\beta}^2 \sin\beta \big) +$$

$$+ l\dot{\beta}^2 \cos\beta \big] + \frac{m_3}{3} b^2 \ddot{y}_3 - m_3 b \cos\delta \ddot{y}_3 + \left(a + \Delta - 2b \sin\delta \right) F_{\text{ს}} \Big\} \times$$

$$\times \Big\{ 2b \big[\cos\delta - \sin\delta \big(K_{\text{ხახ1}} sign\dot{\gamma}_1 + K_{\text{ხახ2}} \dot{\gamma}_1 + K_{\text{ხახ3}} \dot{\gamma}_1^2 \big) \big] \Big\}^{-1}. \qquad (5.1)$$

მოძრაობის დაწყებიდან დგუში ასრულებს რა კონტაქტურ მოძრაობას მიმმართველი ცილინდრის მიმართ, მრუდმხარას მობრუნების $104^0 02'$ კუთხით მობრუნებისას იწყებს თავისუფალ მოძრაობას ღრეჩოს არეში, რაც მთავრდება დარტყმითი მოვლენით მრუდმხარას მობრუნების $105^0 12'$ კუთხისათვის. აქ ისევ ხდება დგუშის ასხლეტა და ხდება განმეორებითი დარტყმა თავისუფალი მოძრაობის ინტერვალის შემდეგ მრუდმხარას 106^0 კუთხით მობრუნებისას (ნახ.5.7.ა.). აქედან იწყება კონტაქტური მოძრაობა და გრძელდება იგი მრუდმხარას სრულ მობრუნებამდე. მაქსიმალური რეაქციის ძალა ამ დროს არის 3500 ნ.



ნახ. 5.7. დამატებითი მოძრაობა 3-0 წინსვლით წყვილში, როცა ხახუნის კოეფიციენტი $K_{ხახ} = 0{,}001$ ხოლო ღრეჩოს მნიშვნელობა ა) $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ და ბ) $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ

ღრეჩოს შემცირება ამცირებს წყვეტისა და კონტაქტის წერტილების რაოდენობას. $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ სიდიდისა და ხახუნის $K_{ხახ} = 0{,}001$ კოეფიციენტის დროს წინსვლითი წყვილის კონტაქტური მოძრაობა გრძელდება (ნახ. 5.7 ბ) მობრუნებას $139^0 31'$ კუთხით მობრუნებამდე. ამ დროს წყდება კონტაქტური მოძრაობა და იწყება თავისუფალი მოძრაობა მრუდმხარას $140^0 13'$ კუთხით მობრუნებამდე. ამის შემდეგ მყარდება კონტაქტური მოძრაობა მრუდმხარას სრულ შემობრუნებამდე. რეაქციის ძალის მაქსიმალური მნიშვნელობა ამ დროს აღწევს 3250 ნ-ს.

რეაქციის ძალის ცვლილებაზე ღრეჩოს არეში წარმოდგენას გვაძლევს გაანგარიშებით მიღებული დიაგრამები (ნახ. 5.8) ბრუნვითი 1-2 კინემატიკური წყვილისათვის, როცა ღრეჩოს სიდიდე $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ, ხოლო მშრალი ხახუნის კოეფიციენტი $K_{ხახ} = 0{,}001$. (ნახ. 5.8 ა). მრუდი 3 ასახავს რეაქციის ძალის ცვლილებას იდეალური $0o_1 B_0$

მექანიზმისათვის, როცა $K_{ხახ}$=0, $\Delta = 0$. მრუდი 2 შეესაბამება რეაქციის ძალის ცვლილებას $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$მმ ღრეჩოს შემთხვევისთვის. ხახუნის პირობებში მცირდება კინემატიკური ჯაჭვის წყვეტისა და კონტაქტის წერტილების რაოდენობა, მაგარამ ამასთან ერთად ადგილი აქვს კონტაქტის წერტილის ვერტიკალურ რხევით მოვლენას OX ღერძის მიმართ. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ დროსაც (ნახ. 5.8 ზ).

მანქანური გამოთვლები ჩატარებულია 2-3 და 3-0 კინემატიკური წყვილების მიმართაც $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$მმ, $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოთა სიდიდეებისა და ხახუნის $K_{ხახ}$=0, $K_{ხახ} = 0{,}001$, $K_{ხახ}$=0,01 კოეფიციენტის მნიშვნელობისათვის. შედეგები შეიძლება აისახოს წარმოდგენილი დიაგრამისა და ცხრილების მსგავსად.

გამოთვლებმა აჩვენა, რომ ღრეჩოს არეში მყარი დარტყმისას აღძრული რეაქციის ძალების მნიშვნელობანი პროპორციულ დამოკიდებულებაშია ღრეჩოს გეომეტრიულ ზომებთან. ღრეჩოს არეში ხახუნის ძალის არსებობა ამცირებს კონტაქტისა და წყვეტის წერტილების რაოდენობას, რაც აუმჯობესებს



ნახ. 5.8. რეაქციის ძალის ცვლილების დიაგრამა 1-2 სახსრულ შეერთებაში ღრეჩოს ა) $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ და ბ) $\Delta = 3 \cdot 10^{-2}$ მმ

მნიშვნელობისას ხახუნის $K_{ხახ} = 0{,}001$ კოეფიციენტის პირობებში

დინამიკურ მაჩვენებლებს. გამოთვლები საშუალებას იძლევა განისაზღვროს და შეირჩეს ღრეჩოს ოპტიმალური ზომები ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობასთან კავშირში მოცემული მექანიზმის საიმედო და უმტყუვნო მუშაობის თვალსაზრისით.

5.3. ღრეჩის სიდიდისა და მოქმედი ძალების გავლენა შემსრულებელი მეანიზმის კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების სიზუსტეზე

ღრეჩოს სიდიდისა და ხახუნის $K_{ხახ}$ კოეფიციენტის ცვლილებისას რეაქციის და სხვა პარამეტრების მნიშვნელობანი განიცდიან მკვეთრ ცვლილებას. ამ ცვლილების დახასიათების მიზნით შემოგვაქვს პარამეტრის სიზუსტის ცნება, რომელიც გულისხმობს სხვაობას პარამეტრის ორ მნიშვნელობას შორის შესაბამისად იდეალური და არსებული რეალური მექანიზმის პირობებში.

ჯერ განვიხილოთ სიზუსტის ამოცანა დგუშის გადაადგილების მიმართ $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ნულოვანი ხახუნის $K_{ხახ}$ კოეფიციენტის და გარე $F_{სწ}=0$ ძალის პირობებში. დგუშის გადაადგილების ცდომილების გრაფიკი წარმოდგენილია ნულოვანი ხახუნის $K_{ხახ}$ კოეფიციენტის და ნულოვანი გარე ძალის დროს ასეთი სახით (ნახ. 5.9). ცდომილების ნულოვან მნიშვნელობებს მრუდმხარას სრული 360^0-ით შემობრუნებისას ასახავს 1 სწორხაზოვანი მრუდი. იგი შეესაბამება ნულოვან ცდომილებას იდეალურ $0o_1B_0$ მექანიზმისათვის, ხოლო 2 მრუდი ასახავს დგუშის სვლის ცდომილებას რეალური OAB

მექანიზმისათვის. იმ დროს, როცა დგუშის გადაადგილება მაქსიმუმია, ე.ი. იგი მდებარეობს ზედა მკვდარ მდგომარეობაში, მაშინ OA მრუდმხარა და AB ბარბაცა განლაგდება ერთმანეთის გასწვრივ OX ღერძზე (ნახ. 3.2). ამ მომენტში მრუდმხარას მობრუნების კუთხე $\alpha = 0$, ხოლო დგუშის გადაადგილების მაქსიმალური ცდომილება არის $2 \cdot 15 \cdot 10^{-2}$ მმ (ნახ. 5.9). დგუშის გადაადგილების ეს მაქსიმალური ცდომილება ვრცელდება მრუდმხარას 96^0 კუთხით მობრუნებამდე, ე.ი. იმ დრომდე, როცა 1-2 სახსრულ შეერთებაში დასაზამი ეძლევა შიგა ელემენტის თავისუფალ მოძრაობას და მთავრდება კონტაქტური მოძრაობა. წყვეტის ამ წერტილიდან ცდომილების აბსოლუტური მნიშვნელობა თანდათან მცირდება, ეცემა 0-მდე, ხოლო მრუდმხარას 99^0 კუთხით მობრუნებისას, როცა ხდება კონტაქტური მოძრაობის აღდგენა, ცდომილება ისევ აღწევს თავის მაქსიმუმს, ოღონდაც უარყოფითი ნიშნით. აქედან მოყოლებული, მრუდმხარას მობრუნების 180^0-მდე ცდომილება ხასიათდება მილევადი გავრცელებით. მაშინ, როცა დგუში გადაადგილდება მის ქვედა მდგომარეობაში, დაიწყება მისი წინსვლითი მოძრაობა, ცდომილება ინარჩუნებს მაქსიმალურ მნიშვნელობას მრუდმხარას $235^0 20'$ კუთხით მობრუნებამდე. ხოლო ამის შემდეგ იწყება მისი სიდიდის შემცირება და მრუდმხარას $270^0 8'$ კუთხის მობრუნებისას იგი ისევ აღწევს მაქსიმუმს დადებითი მნიშვნელობით. აქედან ცდომილების გავრცელებას ენიჭება მილევადი ხასიათი, $278^0 - 285^0$ ინტერვალში ირხევა 0-დან მაქსიმალურ მნიშვნელობამდე, მაგრამ იგი არ უტოლდება ნულს. მრუდმხარას მობრუნების $285^0 31'$-თვის და შემდეგ იგი ისევ ორმაგი ღრეჩოს სიდიდის ტოლია.



ნახ. 5.9. შემსრულებელი მექანიზმის დგუშის გადაადგილების ცდომილება $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, $K_{ხახ} = 0,001$ კოეფიციენტისა და ნულოვანი $F_{სწ} = 0$ ძალის შემთხვევაში

დგუშის გადაადილების რეალური Δx ცდომილება გვევლინება იმ შემთხვევაში, როცა ცდომილებაზე გავლენას ახდენს როგორც $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$მმ ღრეჩო, ასევე ხახუნის $K_{ხახ}$=0,001 კოეფიციენტი და გარე $F_{სწ}$ ძალა. ამ მოვლენას ასახავს გრაფიკი (ნახ. 5.10), რომელზეც 1 სწორი ხაზით მოცემულია დგუშის გადაადგილების ნულოვანი ცდომილება (ნულოვანი ცდომილება შეესაბამება იდეალურ $0o_1B_0$ მექანიზმს), ხოლო 2 მრუდი ასახავს რეალური OAB მექანიზმის დგუშის გადაადგილების ცდომილებას. წყვეტილი 3 არის ცდომილებათა შემომვლები.



ნახ. 5.10. დგუშის გადაადგილების ცდომილება $\Delta = 15\cdot10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{ხახ} = 0{,}001$ კოეფიციენტისა და $F_{სწ} = 1800$ ნ. ძალის შემთხვევაში

როგორც გრაფიკიდან ჩანს მოძრაობის დაწყებიდან მრუდმხარას მობრუნების 99^0 კუთხისთვის დგუშის ცდომილება განისაზღვრება გაორმაგებული ღრეჩოს სიდიდით, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით. მობრუნების 99^0 კუთხისათვის ისევ ხდება ცდომილების კლება ნულამდე და ისევ ზრდა ორმაგი ღრეჩოს სიდიდემდე. მობრუნების $231^0 20'$-ის მახლობელ ზონაში ცდომილებას აქვს მილევადი ხასიათი, იგი თითქმის უახლოვდება ნულოვან მნიშვნელობას, მაგრამ მობრუნების $270^0 18'$ კუთხისთვის იგი აღწევს ორმაგი ღრეჩოს მნიშვნელობებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით. აქედან მოყოლებული იგი იცვლება გარკვეული სიხშირით, მაგრამ ცვლილების ნებისმიერ მომენტში აღწევს მაქსიმუმს, რომელიც განისაზღვრება ღრეჩოს ორმაგი გეომეტრიული ზომით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარგებლო $F_{სწ}$ წინააღმდეგობის ძალა დაფიქსირებულია მისი მუდმივი მნიშვნელობით $(F_{სწ} = const = 1800ნ)$, ხოლო მისი ცვალებადობისას აუცილებლად

მივიღებდით გადაადგილების Δx ცდომილებას განსხვავებული მნიშვნელობით და მრუდსაც ექნებოდა განსხვავებული სახე.

ღრეჩოს სიდიდე, ხახუნის ძალა და გარე $F_{სწ}$ სასარგებლო წინაღობის ძალა გავლენას ახდენს ღრეჩოს შიგნით შიგა ელემენტის დამატებითი მოძრაობის ხასიათზე და დგუშის გადაადგილების სიჩქარეზე.

გაანგარიშებები ჩატარდა $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{ხახ}$=0,001 კოეფიციენტისა და გარე სასარგებლო წინაღობის $F_{სწ}$=1800ნ ძალის შემთხვევაში. შედეგები მოცემულია დიაგრამის სახით (ნახ. 5.11).



ნახ. 5.11. დგუშის გადაადგილების სიჩქარის ცდომილება $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{ხახ} = 0{,}001$ კოეფიციენტისა და $F_{სწ} = 1800$ ნ. ძალის შემთხვევაში

ნახაზიდან ჩანს, რომ მოძრაობის დაწყებიდან $0^0 - 84^0 10'$ ინტერვალში დგუშის გადაადგილების სიჩქარის ცდომილება ინარჩუნებს ნულოვან მნიშვნელობას. მრუდმხარას მობრუნების 90^0

კუთხის მახლობლად სიჩქარის ცდომილება იზრდება გარკვეული მცირე სიდიდით და 99^0-ით მობრუნებისას კი იზრდება მყისიერად. მისი ზრდა ვრცელდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით. დროგამოშვებით იგი იღებს ნულოვან მნიშვნელობებს და შემდეგ ისევ განიცდის ზრდას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი იზრდება ან მცირდება სიმეტრიულად დადებითი და უარყოფითი მიმართულებით. შემსრულებელი მექანიზმის მრუდმხარას მობრუნების $231^0 20'$ კუთხის შესაბამისი სიჩქარის ცდომილება აღწევს 10^{-5} მნიშვნელობას და ვრცელდება დადებითი და უარყოფითი მიმართულებით, $231^0 - 285^0$ ინტერვალში იცვლება მცირე ამპლიტუდით, ხოლო 285^0-დან ინარჩუნებს მაქსიმალურ მნიშვნელობას მრუდმხარას სრული მობრუნების ბოლომდე.

დგუშის გადაადგილების სიჩქარის ცდომილება 0-დან 10^{-5} მ/წმ-მდე 0-დან -10^{-5} მ/წმ-მდე მოქმედებს დგუშის კინეტიკური ენერგიის ცვლილებაზე მრუდმხარას მობრუნების $99^0 - 360^0$ დიაპაზონში, ამასთან ერთად იცვლება შემსრულებელი მექანიზმის კინეტიკური ენერგიაც, რაც უარყოფითად მოქმედებს დინამიკურ მახასიათებლებზე.

შემსრულებელი მექანიზმის დამატებითი მოძრაობების ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს დგუშის გადაადგილების აჩქარება. მისი ცვლილების გამო იცვლება დგუშის მოძრაობის რაოდენობა, ინერციის ძალა და ა.შ. ჩვენს მიერ მანქანური გამოთვლების საშუალებით დადგინდა დგუშის გადაადგილების აჩქარების ცდომილება და სიზუსტის პარამეტრები მრუდმხარას მობრუნების ნებისმიერი კუთხისათვის.

გაანგარიშების შედეგად მიღებულია დგუშის გადაადგილების აჩქარების ცდომილების მიხედვით მიღებულია აჩქარების ცვლილების

დიაგრამა (ნახ. 5.12) ღრეჩოს $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ, ხახუნის $K_{ხახ}$=0,001 კოეფიციენტისა და გარე სასარგებლო წინაღობის $F_{სწ}$=1800 ნ ძალის მნიშვნელობისათვის.



ნახ. 5.12. დგუშის გადაადგილების აჩქარების ცდომილება $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{ხახ} = 0{,}001$ კოეფიციენტისა და $F_{სწ} = 1800$ ნ. ძალის არსებობისას

დიაგრამის მიხედვით ჩანს, რომ მრუდმხარას მობრუნების კუთხის $0^0 - 73^0$ ინტერვალში დგუშის აჩქარება ნულის ტოლია. $73^0 - 90^0$ ინტერვალში შეინიშნება აჩქარების მცირე ცვლილება დადებითი და უარყოფითი მიმართულებით. მრუდმხარას 92^0 კუთხით მობრუნებისას იწყება დგუშის აჩქარების მკვეთრი ზრდა დადებითი მიმართულებით და მრუდმხარას 99^0 კუთხით მობრუნებისას აჩქარების ცვლილება აღწევს მის მაქსიმალურ მნიშვნელობას. ამის შემდეგ იგი ეცემა ნულამდე და შემდეგ ვითარდება რა უარყოფითი მიმართულებით, აღწევს უდიდეს მნიშვნელობას, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით. უდიდესი ცდომილებანი აბსოლუტური მნიშვნელობებით ერთმანეთის ტოლია და იგი უდრის $3 \cdot 10^{-6}$ მ/წმ^2-ს.

მრუდმხარას 180^0 კუთხით შემობრუნების შემდეგ ცდომილების უდიდესი ზღვარი ეცემა, ხოლო $270^0 - 285^0 10'$ ინტერვალში აღიდგენს მაქსიმუმს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიმართულებით მრუდმხარას სრული 360^0-ით მობრუნებამდე. განმეორებითი სრული მობრუნების დროს დიაგრამის კონტური განიცდის ცვლილებას, მაგრამ ცდომილების ზღვარი ორივე მიმართულებით იგივეა, რაც პირველი სრული შემობრუნებისას.

შეერთებებში არსებული ღრეჩო და პარამეტრები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ღრეჩოს არეში რეაქციის ძალის მნიშვნელობაზე. ამავე დროს რომელიმე ღრეჩოიან შეერთებაში ამის მიზეზად გვევლინება არა მარტო ამ შეერთებაში არსებული ღრეჩო, არამედ სხვა ღრეჩოს სიდიდე და მოძრაობის ხასიათი სხვა ღრეჩოს არეში. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე დგუშზე მოქმედი გარე $F_{სწ}$ სასარგებლო წინაღობის ძალა, რომლის ზემოქმედება ვრცელდება არა მარტო დგუშზე, არამედ ყველა ღრეჩოებიან შეერთებაზე. ამავე დროს ამ ძალის მოქმედებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მისი ფიზიკური არსი, როგორია მისი ბუნება, მუდმივია თუ ცვლადი და ა.შ. კვლევის გაიოლების მიზნით მას ყოველთვის მივიჩნევთ მუდმივად.

მხედველობაში მივიღეთ რა ამ ძალის მუდმივობა, გაანგარიშებანი რეაქციის ძალის გამოთვლისათვის ჩატარდა უკვე თეორიულად გამოკვლეული რეაქციის ძალის ცდომილების საანგარიშო (3.149) ფორმულის მიხედვით 1-2 შეერთებაში. გაანგარიშების შედეგი მოცემულია გრაფიკზე (ნახ. 5.13).

F_1^n, ნ

78000

2

α, გრად



ნახ. 5.13. რეაქციის ძალის ცვლილება 1-2 სახსრულ შეერთებაში $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{\text{ხახ}} = 0{,}001$ კოეფიციენტისა და $F_{\text{სწ}} = 1800$ ნ. ძალის არსებობისას

გრაფიკზე (ნახ. 5.13) ნაჩვენები ორი დიაგრამიდან ციფრით 1 აღნიშნულია 1-2 შეერთებაში რეაქციის ძალის ნორმალური მდგენელის დიაგრამა იდეალური Oo_1B_0 შემსრულებელი მექანიზმისათვის, ხილო ციფრით 2 აღნიშნულია ისევ იმავე შეერთებაში რეაქციის ნორმალური F_1^n მდგენელის დიაგრამა რეალური OAB შესაბამისი ღრეჩოებიანი შემსრულებელი მექანიზმისათვის. გაანგარიშებანი ჩატარდა $15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{\text{ხახ}}$=0,001 კოეფიციენტიასა და გარე სასარგებლო წინაღობის $F_{\text{სწ}}$=1800 ნ ძალის პირობებში.

როგორც დიაგრამიდან ჩანს (ნახ.5.13), მრუდმხარას 90^0 კუთხით მობრუნებამდე რეაქციის ძალის სიდიდეები რეალური და იდეალური შესაბამისი მექანიზმისათვის 1-2 შეერთებაში თანხვდებიან ერთმანეთს. აქედან რეაქციის ძალა მკვეთრად მცირდება და მრუდმხარას 99^0

კუთხით მობრუნებისას საწყისი 9800 ნ-დან ეცება ნულამდე. აქ ადგილი აქვს პირველ წყვეტით მოვლენას და თავისუფალი დამატებითი მოძრაობის შემდეგ კონტაქტის დროს რეაქციის ძალის სიდიდე აღწევს 45000 ნ-ს. მრუდმხარას მობრუნების $108^0 06'$ კუთხისათვის რეაქციის ძალა ეცემა ნულამდე და მომდევნო $109^0 35'$ კუთხით მრუდმხარას მობრუნებისას კონტაქტის აღდგენისას ადგილი აქვს დარტყმით მოვლენას, რომლის საწყის ფაზაში რეაქციის ძალა აღწევს 70000ნ-ს. შემდეგ მომდევნო კონტაქტური მოძრაობისას რეაქციის ძალის სიდიდე 65500 ნიუტონია. რეაქციის ძალის ცვალებადობა მიმდინარეობს მრუდმხარას $224^0 10'$ კუთხით მობრუნებამდე, რომლის შემდეგაც მისი მნიშვნელობა ემთხვევა იდეალურ შესაბამის მექანიზმში რეაქციის ძალის სიდიდეს 284^0 მობრუნებამდე. შემდეგ ისევ იცვლება მრუდმხარას 300^0 მობრუნებამდე, რის შემდეგ ემთხვევა იდეალურ რეაქციის ძალას. აქაც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გარე სასარგებლო $F_{სწ}$ წინაღობის ძალის მოქმედების ხასიათი საგრძნობ გავლენას მოახდენს რეაქციის ძალის ცდომილების მნიშვნელობაზე.

შემსრულებელი მექანიზმის კინეტიკური ენერგიის ძირითადი ნაწილი ბარბაცას კინეტიკურ ენერგიაზე მოდის, ამიტომ მისი მობრუნების კუთხური სიჩქარის მცირე ცვლილებაც კი სცილდება საპროექტო მაჩვენებლებს, რაც საერთოდ იწვევს შემსრულებელი მექანიზმის დინამიკური პარამეტრების გაუარესებას. შედგენილი პროგრამის მიხედვით ჩატარებული მანქანური გამოთვლების შედეგად მიღებულია ბარბაცას მობრუნების კუთხური სიჩქარის ცვალებადობის

დიაგრამა (ნახ. 5.14), სადაც პუნქტირით აგებული 1 მრუდი ასახავს მობრუნების კუთხური სიჩქარის ცვლილებას იდეალური მექანიზმისათვის, ხოლო კონტურით შესრულებული 2 მრუდი მიეკუთვნება კუთხური სიჩქარის ცვლილებას რეალურ შემსრულებელ მექანიზმში. მრუდი აგებულია 1-2 შეერთებაში $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{\text{ხახ}}$=0,001 კოეფიციენტისა და გარე



ნახ. 5.14. მობრუნების კუთხური სიჩქარის ცდომილება სახსრულ შეერთებებში $\Delta = 15 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოს, ხახუნის $K_{\text{ხახ}} = 0{,}001$ კოეფიციენტისა და $F_{\text{სწ}} = 1800$ ნ. ძალის არსებობისას

$F_{\text{სწ}}$=1800 ნ სასარგებლო წინაღობის ძალის პირობებში. ჩანს, რომ მრუდმხარას მობრუნების 99^0 კუთხემდე კუთხური სიჩქარეები თანხვდებიან ერთმანეთს, ხოლო ამ წერტილის შემდეგ ხდება

კუთხური სიჩქარის მყისი ზრდა, რაც შეესაბამება ღრეჩოს არეში შიგა ელემენტის თავისუფალ მოძრაობას. შემდეგ კი დიაგრამის მიხედვით კუთხური სიჩქარის ცდომილება თანხვდება წყვეტისა და კონტაქტის წერტილების მიმდევრობას.

ამგვარად, დამუშავებული პროგრამის მიხედვით ჩატარებულია შემსრულებელი მექანიზმის ძირითადი კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების სიზუსტის გაანგარიშება, რაც მოცემულია დიაგრამების სახით დგუშის გადაადგილების, სიჩქარის, აჩქარების, ღრეჩოში რეაქციის ძალის, ზარბაცას მობრუნების კუთხისა და მობრუნების კუთხური სიჩქარის ცდომილებებისათვის.

5.4. დისერტაციის მეცნიერული შედეგების ტექნიკური ეფექტიანობის განსაზღვრა

ყველა დანადგარი ან მოწყობილობა, რომლის კვების წყარო დიზელია, ემსახურება რეფრიჟერატორულ მუშა კამერებში სამაცივრო ციკლის უზრუნველყოფას. ამდენად, აუცილებელი და საჭიროა პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას დიზელის ძრავის გამართული და საიმედო მუშაობა, მოხდეს მის შემსრულებელ მექანიზმის სახსრულ შეერთებებში ოპტიმალური ღრეჩოს სიდიდის დადგენა.

განვიხილოთ დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმი ოპტიმალური ღრეჩოს დადგენის მიზნით (ნახ. 2.8). იმის გამო, რომ მრუდმხარა-ზარბაცა და ზარბაცა-დგუშის სახსრულ შეერთებებში არსებობს Δ ღრეჩო, ამიტომ მრუდმხარას მობრუნების ნებისმიერი α კუთხისათვის ზარბაცას სიგრძედ შეიძლება მივიღოთ $l+4\Delta$ ან $l-4\Delta$

სიდიდეები. ღრეჩოს გათვალისწინებით ვწერთ:

$$X_{\text{დ}} = X_{\text{დ}}(\alpha, \Delta), \tag{5.2}$$

სადაც $X_{\text{დ}}$ - არის დგუშის გადაადგილება (სვლა) მრუდმხარას მობრუნების α კუთხისათვის.

შესაძლო ცდომილება, რომელიც იმოქმედებს დგუშის სვლის სიდიდეზე, იანგარიშება შემდეგი სხვაობის მიხედვით:

$$\Delta_{X_{\text{დ}}} = X_{\text{დ}(\max)} - X_{\text{დ}(\min)}. \tag{5.3}$$

თავის მხრივ დგუშის მაქსიმალური სვლა

$$X_{\text{დ}(\max)} = (l + 4\Delta)\cos\beta_{\min} - r\cos\alpha, \tag{5.4}$$

დგუშის მინიმალური სვლა

$$X_{\text{დ}(\min)} = (l - 4\Delta)\cos\beta_{\max} - r\cos\alpha. \tag{5.5}$$

ბარბაცას მობრუნების კუთხის კოსინუსი

$$\cos\beta = \sqrt{l^2 - N}\big/l, \tag{5.6}$$

სადაც N განისაზღვრება ტოლობით

$$N = r^2\sin^2\alpha \tag{5.7}$$

ან

$$\cos\beta = \sqrt{1 - \frac{N}{l^2}}. \tag{5.8}$$

მაშინ, იმის გამო, რომ ბარბაცას l სიგრძეს Δ ღრეჩოს არსებობისას შეუძლია მიიღოს ორი მნიშვნელობა, ბარბაცას მობრუნების კუთხის კოსინუსები შეიძლება წარმოვადგინოთ ამგვარად:

$$\cos\beta_{\max} = \frac{1}{(l - 4\Delta)}\left[(l - 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} \tag{5.9}$$

$$\cos\beta_{\max} = \frac{1}{(l + 4\Delta)}\left[(l + 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} \tag{5.10}$$

(5.9) და (5.10) მნიშვნელობების შეტანით შესაბამისად (5.4) და

(5.5) ტოლობებში მივიღებთ შემდეგ გამოსახულებებს:

$$X_{\text{დ}(\max)} = \left[(l + 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} - r\cos\alpha. \qquad (5.11)$$

$$X_{\text{დ}(\min)} = \left[(l - 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} - r\cos\alpha. \qquad (5.12)$$

(5.11) და (5.12) ტოლობების ძალით (5.3) გამოსახულება ჩაიწერება ასე:

$$\Delta_{X_{\text{დ}}} = \left[(l + 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} - \left[(l - 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} \qquad (5.13)$$

ასევე შეიძლება დაიწეროს

$$\Delta x_{\text{დ}(\max)} = S_{\text{დ}(\max)} - S_{\text{დ}} \qquad (5.14)$$

$$\Delta x_{\text{დ}(\min)} = S_{\text{დ}} - S_{\text{დ}(\text{მ}in)} \qquad (5.15)$$

მარტივი გარდაქმნების შემდეგ ამ ტოლობებიდან მივიღებთ:

$$\Delta x_{\text{დ}(\max)} = \left[(l + 4\Delta)^2 - N\right]^{1/2} - \left(l^2 - N\right)^{1/2}; \qquad (5.16)$$

$$\Delta x_{\text{დ}(\max)} = \left(l^2 - N\right)^{1/2} - \left[(l - 4\Delta)^2 - N\right]^{1/2}. \qquad (5.17)$$

(5.17) და (5.18) გამოსახულებების მიხედვით ჩატარებულმა მანქანურმა გამოთვლებმა ღრეჩოს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის აჩვენა, რომ აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას ღრეჩოს მნიშვნელობა ტექნოლოგიური ღრეჩოს მახლობელ არეში. ღრეჩოს მნიშვნელობად აღებულ იქნა უმცირესი და უდიდესი ორი უკიდურესი გეომეტრიული ზომა, Δ=0,03 მმ და Δ=0,15 მმ.

N პარამეტრის (5.7) მნიშვნელობის გათვალისწინებით (5.17) და (5.18) ტოლობები ჩაიწერება ასეთი სახით:

$$\Delta x_{\text{დ}(\max)} = \left[(l + 4\Delta)^2 - r^2\sin^2\alpha\right]^{1/2} - \left(l^2 - r^2\sin^2\alpha\right)^{1/2}; \qquad (5.19)$$

$$\Delta x_{\text{დ}(\min)} = \left(l^2 - r^2\sin\alpha\right)^{1/2} - \left[(l - 4\Delta)^2 - r^2\sin^2\alpha\right]^{1/2}. \qquad (5.20)$$

მიღებული (5.19) და (5.20) გამოსახულების მიხედვით ღრეჩოს ორი $\Delta = 15\cdot 10^{-2}$მმ და $\Delta = 3\cdot 10^{-2}$მმ მმ მნიშვნელობისათვის, ნულოვანი

ხახუნისა და გარე ძალების შემთხვევაში, გაანგარიშებული იქნა რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის დგუშის გადაადგილების ცდომილება (ნახ. 5.15).



ნახ. 5.15. შემსრულებელი მექანიზმის დგუშის გადაადილების ცდომილებათა დიაგრამა ოპტიმალური ღრეჩოს განსაზღვრის მიზნით

დიაგრამიდან ჩანს, რომ $\Delta = 3\cdot10^{-2}$ მმ ღრეჩოს არსებობისას მრუდმხარას $\alpha = 40^0 10'$ მობრუნების კუთხისათვის $0^0 - 40^0 10'$ დიაპაზონის შემდეგ ცდომილება ორმაგი ღრეჩოს სიდიდიდან (მრუდი 3) ეცემა ნულამდე, შემდეგ იძენს ღრეჩოს გაორმაგებულ მნიშვნელობას უარყოფითი ნიშნით და $43^0 05' - 235^0 31'$ დიაპაზონში თანხვდება უღრეჩოო შესაბამისი მექანიზმისათვის დგუშის ნულოვან ცდომილებას (მრუდი 1). $240^0 - 250^0 05'$ მობრუნების დიაპაზონში ცდომილება იძენს გაორმაგებული ღრეჩოს მნიშვნელობებს, ხოლო 270^0-დან მისი მნიშვნელობა ნულის ტოლია. ცხადია ღრეჩოს სიდიდის შემცირებით

გამოისახება ის მკვეთრი გადასვლები ცდომილების ცვლილებისას, რაც ახასიათებს ღრეჩოს დიდ მნიშვნელობას (მრუდი 2).

რკინიგზის რეფრიჟერატორულ ვაგონებში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის დიზელის ძრავი, რომელთაგან აღსანიშნავია ავტონომიური რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის 4VD 12,5/9 SRL სახის ძრავი. იგი საქარხნო დაშლით შეკეთებას გადის 5000 საათის მუშაობის შემდეგ, ხოლო ექსპლუატაციისას გამოვლენილი მტყუვნების გამო შეიძლება ჩაუტარდეს ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა და მოხდეს მისი ნაწილობრივი სადეპოო შეკეთება.

დასაშვებია დიზელის ძრავის ორჯერადი საქარხნო შეკეთება. პირველი – მუშაობის 5000 საათის შემდეგ; მეორე – პირველი საქარხნო შეკეთებიდან 4500 საათის მუშაობის შემდეგ. დიზელის ძრავის მუშაობისას ყველაზე დიდი დინამიკური დატვირთვები მოდის მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმზე, კერძოდ მის ბარბაცა-დგუშოვან ჯგუფზე. ეს გამოწვეულია დგუშისა და ბარბაცას ინერციის ძალებით, გაზის წნევის გამოწვეულ სასარგებლო წინაღობის ძალით, გაზრდილი ღრეჩოს მნიშვნელობით სახსრულ შეერთებებში და ა.შ. მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკურ დატვირთვაზე ზემოქმედებას ახდენს ძრავის ცილინდრის მუშა ზედაპირის ცვეთაც, რომელიც გამოწვეულია შემზეთი მასალების ცუდი ხარისხით, შეზეთვის რეჟიმის დარღვევით, შეწოვილი ჰაერის არადამაკმაყოფილებელი ფილტრაციით და ბარბაცა-დგუშოვანი ჯგუფის აწყობის არასწორი ტექნოლოგიით. ამის გამო ცილინდრის მუშა ზედაპირზე შეიძლება გაჩნდეს ნაკაწრები, ბზარები და ამონაგლეჯები.

მსგავსი უწესივრობანი შეინიშნება ბარბაცას მიმართაც. ხშირია

ბარბაცას გაღუნვა და გრეხვა გრძივი ღერძის მიმართ, აგრეთვე გაზრდილი ღრეჩოები მრუდმხარა-ბარბაცასა და ბარბაცა-დგუშის ბრუნვით შეერთებებში. ამიტომ შეკეთებისას ბარბაცას გაწმენდის შემდეგ ახდენენ ღრეჩოების გაზომვას და შემოწმებას გაღუნვასა და გრეხვაზე. დასაშვებია ბარბაცას გაღუნვა 0,03 მმ მისი სიგრძის ყოველ 100 მმ-ზე, ამავე დროს გრეხვა ამავე სიგრძეზე არ უნდა შეიცვალოს, ხოლო ერთი დიზელისათვის ბარბაცას კომპლექტში ბარბაცების მასების სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს.

გამოთვლითი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით დადგენილი იქნა რეაქციის ნორმალური მდგენელის მნიშვნელობანი ღრეჩოს გარკვეული სიდიდისთვის $0–38{\cdot}10^{-2}$ მმ დიაპაზონში. ღრეჩოს სიდიდისაგან ნორმალური რეაქციის ძალის დამოკიდებულების გრაფიკი (ნახ. 5.16) წარმოდგენილია მრუდმხარა-ბარბაცა და ბარბაცა-დგუში შეერთებისათვის ღრეჩოს აღნიშნულ დიაპაზონში 0-დან $0{,}03{\cdot}10^{-2}$ მმ, $0{,}06{\cdot}10^{-2}$ მმ, ... $0{,}38{\cdot}10^{-2}$ მმ-მდე შერჩეული $0{,}03{\cdot}10^{-2}$ მმ ბიჯით. მრუდი 1 ასახავს ნორმალური რეაქციის ძალის ცვლილებას მრუდმხარა-ბარბაცა, ხოლო მრუდი 2 კი ბარბაცა-დგუშის შეერთებაში. აქვე აღნიშნულია საქარხნო (სარემონტო) ღრეჩოების ოპტიმალური დიაპაზონები 0,06-0,108 და 0,035-0,08 მკ შესაბამისად მრუდმხარა-ბარბაცა და ბარბაცა-დგუშის შეერთებებში.



ნახ. 5.16. ნორმალური რეაქციის ძალების სიდიდეების დამოკიდებულება შესაბამის შეერთებებში ღრეჩოების სიდიდეთა ცვალებადობისადმი

რეაქციის ძალები იცვლებიან დიაგრამაზე ნაჩვენები მიმდევრობით და $12 \cdot 10^{-2}$ მმ ღრეჩოსთვის აღინიშნება ნორმალური რეაქციის ნახტომისებური ზრდის მოვლენა ორივე შეერთებაში (48000 ნ და 70000 ნ). ამის შემდეგ ნორმალური რეაქცია იზრდება მდოვრედ და ღრეჩოს $38 \cdot 10^{-2}$ მმ მნიშვნელობისას იგი ითვლის შესაბამისად 81500 და 61000 ნ-ს.

მიღებული შედეგები და მოცემული დიაგრამების ანალიზი საშუალებას იძლევა დავამყაროთ დამოკიდებულება ნორმალური რეაქციის ძალების ნაზრდისა და ღრეჩოს სიდიდეთა დიაპაზონების ნაზრდს შორის (ნახ. 5.17).





ნახ. 5.17. ღრეჩოს სიდიდის 0,015-0,09(1,1′), 0,09-0,12(2,2′) და 0,12-0,15(3,3′) მმ დიაპაზონების ნაზრდის 1 მკ-ზე მოსული ნორმალური რეაქციის ძალების ნაზრდი მრუდმხარა-ბარბაცა (1, 2, 3) და ბარბაცა-დგუშის (1′, 2′, 3′) შეერთებებისთვის

ღრეჩოსა და ნორმალური რეაქციის ძალების დამოკიდებულების (ნახ. 5.16), ასევე მიღებული ჰისტოგრამების (ნახ. 5.17) ანალიზი ცხადყოფს, რომ მრუდმხარა-ბარბაცა და ბარბაცა-დგუშის ანუ საბარბაცე ყელისა და დგუშის თითის შეერთებებისათვის : ა) რეკომენდირებული საქარხნო (სარემონტო) ღრეჩოები 0,06-0,108 მმ და 0,035-0,08 მმ მოთავსებულია ოპტიმალურ დიაპაზონში ; ბ) რეკომენდირებული საქარხნო (სარემონტო) ოპტიმალური დიაპაზონების ღრეჩოების გაზრდა შესაძლებელია 0,06-0,108 მმ-დან 0,06-0,12 მმ-მდე და 0,035-0,08 მმ-დან 0,035-0,12 მმ-მდე.

მეხუთე თავის დასკვნები

1. გამოკვლეულია ღრეჩოს სიდიდის გავლენა ღრეჩოებიან სახსრულ შეერთებებში რეაქციისა და ხახუნის ძალების მნიშვნელობაზე. დადგინდა, რომ რეაქციის ძალის მნიშვნელობა პროპორციულ დამოკიდებულებაშია ღრეჩოს სიდიდესთან.

2. დადგენილია, რომ ღრეჩოს არეში ხახუნის ძალის არსებობა ამცირებს წყვეტისა და კონტაქტის წერტილების რაოდენობას. ხახუნის კოეფიციენტის გადიდებით მცირდება დარტყმების რაოდენობა და რეაქციის ძალის მნიშვნელობა ღრეჩოს არეში.

3. გამოკვლეულია ღრეჩოს სიდიდის, ხახუნისა და გარე მოქმედი ძალების ერთდროული გავლენა დიზელის ძრავის შემსრულებელი მეანიზმის კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების სიზუსტეზე. მოხდა ღრეჩოს სიდიდის ოპტიმიზირება შემსრულებელი მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის დინამიკური დატვირთვების შემცირების მიზნით და დიზელის ძრავის ხანგამძლეობის უზრუნველყოფისთვის.

საერთო დასკვნები

1. დამუშავებულია რეფრიჟერატორული ვაგონის დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის წინსვლითი დგუში-ცილინდრის შეერთების დინამიკური მოდელი ღრეჩოსა და ცვლადი დეზაქსიალის გათვალისწინებით. დგუშის რთული შეძენილი მოძრაობიდან გამომდინარე გამოკვლეულია მოძრაობის ხასიათი მუშა ცილინდრის ღრეჩოს არეში და დგუშის შესაძლო სამი სახის მოძრაობის მიხედვით ჩატარებულია შეძენილ მოძრაობათა კლასიფიკაცია ღრეჩოს სიდიდის, წინსვლითი სახსრული შეერთების გეომეტრიული და დინამიკური პარამეტრების, აგრეთვე ცვლადი დეზაქსიალის მიხედვით. მოძრაობის დინამიკური და კინემატიკური ანალიზიდან გამომდინარე დადგენილია დგუშის ჩვიდმეტი სახის დამატებითი მოძრაობა მუშა ცილინდრის მიმართ დეზაქსიალის ცვლილებისას ნულიდან ღრეჩოს მნიშვნელობამდე ინტერვალში. თითოეული დამატებითი მოძრაობის ამსახველი ანალიზური გამოსახულებანი ამავე დროს წარმოადგენს ერთი სახის მოძრაობიდან მეორეზე გადასვლის საწყის პირობებს მოცემული ღრეჩოსა და დეზაქსიალის შემთხვევაში.

2. დამუშავებულია მექანიზმის დინამიკური მოდელი გაზრდილი ცვეთების შედეგად მიღებული ღრეჩოების გათვალისწინებით სამ სახსრულ შეერთებაში. მოდელის აგებისას გათვალისწინებულია ცვლადი საკოორდინატო სისტემები თითოეული ღრეჩოიანი შეერთების გეომეტრიულ ცენტრებში და შემოღებულია ცვლადი ხაზოვანი და კუთხური განზოგადოებული კოორდინატები. დადგენილია ცვლადი დეზაქსიალის არსებობის პირობა წინსვლითი სახსრული შეერთების

გეომეტრიული წყობისა და ღრეჩოს სიდიდის გათვალისწინებით. დამუშავებულია საკოორდინატო გადასვლის ფორმულები. ღრეჩოსა და დეზაქსიალის არსებობისას გამოკვლეულია შემსრულებელი მექანიზმის შესაძლო დამატებითი მოძრაობანი და მოცემულია ამ მოძრაობათა კლასიფიკაცია. დადგენილ იქნა დამატებით მოძრაობათა რვა სახეობა, რომლებიც აღიწერებიან მოძრაობის დიფერენციალური განტოლებებით მოძრაობის განმსაზღვრელი განზოგადოებული კოორდინატების მიმართ.

3. გამოკვლეული იქნა დიზელის ძრავის ღრეჩოებიანი შემსრულებელი მექანიზმის ცვლადი დინამიკური პარამეტრები. აღმოჩნდა, რომ კინეტიკური ენერგიისა და განზოგადოებული კოორდინატების შესაბამისი განზოგადოებული ძალების მნიშვნელობათა ცვლილება დამოკიდებულია ცვლად განზოგადოებულ კოორდინატების კომბინაციაზე მოცემული დამატებითი მოძრაობისას, სახსრული შეერთების ელემენტების ცვეთის სიდიდეზე და დეზაქსიალზე. მიღებულია კინეტიკური ენერგიისა და განზოგადოებული ძალების ანალიზური გამოსახულებანი ცვეთებისა და დეზაქსიალთან ფუნქციონალურ დამიკიდებულებაში. ცვლადი დინამიკური პარამეტრების კვლევის მათემატიკური აპარატი გამოსადეგია ვაგონის ნებისმიერი მექანიკური გადაცემის ანალიზური გამოკვლევისას.

4. დამუშავებულია დიზელის ძრავის მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის ღრეჩოებიან სახსრულ შეერთებებში რეაქციისა და ხახუნის ძალების კვლევის მათემატიკური აპარატი. მიღებულია სათანადო ალგებრული გამოსახულებენი რეაქციის და ხახუნის ძალების

განსაზღვრისათვის. ანალიზური გამოკვლევებით დადგინდა, რომ რეაქციის ან ხახუნის ძალების ცვლილების ფაქტორს ნებისმიერი სახის დამატებითი მოძრაობის დროს წარმოადგენს ელემენტის ცვეთის ხარისხი, განზოგადოებულ კოორდინატთა კომბინაცია, დეზაქსიალის მნიშვნელობა, სახსრის ელემენტებს შორის არსებული ხახუნის კოეფიციენტი და სახსრის ელემენტებთან დაკავშირებული რგოლების მასები.

5. დადგინდა მათემატიკური აპარატი დიზელის ძრავის შემსრულებელი მექანიზმის დამატებითი მორაობათა დიფერენციალური განტოლებების შედგენის მიზნით. დამატებით მოძრაობათა რვა სახეობის მიხედვით დამუშავებული იქნა მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები მოძრაობის განმსაზღვრელი ცვლადი განზოგადოებული ხაზოვანი და კუთხური კოორდინატების მიმართ. მიღებულ იქნა რვა სისტემა დამატებითი თავისუფალი, კონტაქტური, წყვეტილ-კონტაქტური და კონტაქტურ-წყვეტილი მოძრაობებისათვის. დამუშავდა გადასვლის პირობები ერთი სახის მოძრაობიდან მეორეზე გადასვლისთვის და საკოორდინატო გადასვლის ანალიზური გამოსახულებანი.

6. გამოკვლეულ იქნა მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის სახსრულ შეერთებებში არსებული ღრეჩოს გავლენა ძირითად მახასიათებელ პარამეტრებზე. თეორიული კვლევების მიხედვით შედგენილი პროგრამების რეალიზაციამ გვიჩვენა, რომ დიდი ცვეთების დროს სახსარში აღძრული რეაქციის ძალა 10-15-ჯერ აღემატება მის იდეალურ მნიშვნელობას, ამასთან იზრდება დარტყმების რაოდენობა სახსრულ შეერთებაში. დიაგრამებისა და ჰისტოგრამების ანალიზით დადგინდა,

რომ რეკომენდირებული საქარხნო (სარემონტო) ღრეჩოების ოპტიმალური დიაპაზონის გაზრდა შესაძლებელია გარკვეულ ზღვრებში.

ლიტერატურა

1. Абрамов Б.М. Динамика шарнирных механизмов с учетом трения. Харьков, изд. Харьк. Ун-та, 1960 - 150 с.
2. Артоболевский И.И., Костицын В.Т., Раевский Н.П. Об одном состоянии вала, вращающегося в подшипнике без смазки с зазором. - Изв. АН СССР, ОТН, 1949, №2, с. 168-173
3. Асташев В.К., Бабицкий В.И., Вульфсон И.И. и др. Динамика машин и управление машинами. М., Машиностроение, 1988 - 240 с.
4. Бахвалов Н.С. Численные методы. М., Наука, 1975 - 631 с.
5. Березин И.С., Жидков Н.П. Методы вычислений, т. 2. М., Физматгиз, 1962 - 639 с.
6. Бромберг Е.М., Вериго М.Ф. и др. Взаимодействие пути и подвижного состава. М., Трансжелдориздат, 1956 - 315 с.
7. Банах Л.Л. Некоторые явления, возникающие при движении вала в подшипнике с зазором. Машиноведение, 1965, № 1, с 70-77
8. Барсов Г.А., Безменова Л.В. Теория плоских механизмов и динамика машин. М., Высшая школа, 1961 - 336 с.
9. Блохин Е.П., Манашкин Л.А. Динамика поезда. М., Транспорт, 1982 - 436 с.
10. Бидерман В.Л. Теория удара. М., Машгиз, 1952 - 351 с.
11. Бидерман В.Л. Теория механических колебаний. М., Высшая школа, 1980 - 408 с.
12. Бруевич Н.Г. Точность механизмов. М., Гостехиздат, 1946 - 332 с.
13. Бруевич Н.Г., Сергеев В.И. К проблеме точности в теории надежности. Изв. АН СССР, Механика и машиностроение, 1984, №2, с. 78-81
14. Бруевич Н.Г., Сергеев В.И. Основы нелинейной теории точности механизмов с низшими кинематическими парами. Сб. «Точность

механизмов и автоматизированных измерительных средств». М., Наука, 1966, с. 3-35

15. Бруевич Н.Г., Доступов В.И. Метод определения ошибок скоростей и ускорений механизмов. Машиностроение, №3, 1976, с. 27-34
16. Бруевич Н.Г., Сергеев В.И. К исследованию ошибок скоростей и ускорений плоских механизмов с высшими кинематическими парами. Сб. «Точность механизмов и автоматизированных измерительных средств». М., Наука, 1966, с. 184-191
17. Боуден Ф.П., Тейбор Д. Природа контакта между ударяющимися телами. Сб. «Трение и граничная смазка», 1953, с. 115-141
18. Бусленко Н.П. Моделирование сложных систем. М., Наука, 1968 - 355 с.
19. Быховский М.Л. Основы динамической точности электрических и механических цепей. Изд. АН СССР, 1958 - 157 с.
20. Бейлин И.Ш., Вейц В.Л., Мартыненко А.М. Вопросы динамики машинного агрегата при учете зазоров в кинематических парах. «Машиностроение», вып. 19, 1972, с. 189-200
21. Бронштейн Р.Е., Кобринский А.Е. К динамике нелинейного элемента с зазорами. Труды института машиноведения, 1959, т. 19, вып. 75, с. 31-48
22. Быховский М.Л. Точность механизмов, у которых положение звеньев описывается дифференциальными уравнениями. Изв. АН СССР, ОТН, 1947, №1, с. 1455-1512
23. Бакрадзе Ю.М., Кржимовский В.Е., Скрипкин В.В. Рефрижераторный подвижный состав. М., Транспорт, 1971 - 327 с.
24. Вулфсон И.И., Коловский М.З. Нелинейные задачи динамики машин. Л., Машиностроение, 1968 - 284 с.
25. Вершинский С.В., Данилов В.Н., Челноков И.И. Динамика вагона. М., Транспорт, 1978 - 352 с.
26. Вершинский С.В., Данилов В.Н., Хусидов В.Д. Динамика вагона. М., Транспорт, 1991 - 360 с.

27. Вагоны. Конструкция, теория и расчет. Под ред. Л.А. Шадура. М., Транспорт, 1982 - 222 с.
28. Гарт В.К., Дуккипати Р.В. Динамика подвижного состава. Пер. с англ. М., Транспорт, 1988 - 425 с.
29. Грант, Фосетт. Влияние зазоров в механизмах. Труды Американского общества инженеров и механиков (АОИМ), рус. пер., №4, (АНН), 1978 - 78 с.
30. Галеев А.У., Першиц Ю.И. Вопросы механики поезда. М., Трансжелдориздат, 1958 - 232 с.
31. Голдстейн Г.М. Классическая механика. Гостехиздат, 1957 - 408 с.
32. Головкин Н.А., Чижов Г.Б. Холодильная технология пищевых продуктов. М., Госторгиздат, 1963 - 240 с.
33. Гогин А.Ф., Богданов А.А. Судовые двигатели внутреннего сгорания. М., Транспорт, 1983 - 280 с.
34. ГОСТ 20831-75. Система технологического обслуживания и ремонта техники.
35. Динамика подвижного состава железных дорог. Под ред. Камаева А.А., Камаева Б.А. Труды БИТМ-а, 1974, вып. 25 - 210 с.
36. Демьянков Н.В. Сравнительная характеристика различных систем охлаждения изотермических вагонов. Труды МИИТ-а, вып. 376, М., 1971 - 45 с.
37. Демьянков Н.В. Холодильные машины и установки. М., Транспорт, 1976 - 360 с.
38. Демьянков Н.В., Маталасов С.Ф. Хладотранспорт. М., Транспорт, 1976 - 248 с.
39. Дизели ряда 6г12/14 и агрегаты. Техническое описание и инструкция по эксплуатации. М., Машиностроение, 1981 - 270 с.

40. Дубовски С., Фрейденштейн Ф. Динамический расчет механических систем с зазорами. Ч. 1, Составление динамической модели. Труды АОИМ (рус. перевод), №1, 1971, с. 247-252
41. Дубовски С., Фрейденштейн Ф. Динамический расчет механических систем с зазорами. Ч. 2, Движение систем. Труды АОИМ (рус. перевод), №1, 1971, с. 252-258
42. Дубовски С., Гарднер А. Расчет и анализ многозвенных механизмов с упругими звеньями и несколькими зазорами в соединениях. Труды АОИМ (рус. перевод), № 1, 1977, с. 57-68
43. Дьячков А.К. Исследование влияния величины зазора на показатели работы подшипника скольжения. Изд. АН СССР, 1950 - 213 с.
44. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С. Некоторые вопросы динамического исследования точности сферических механизмов с зазорами. Труды XXVIII Международного коллоквиума (Ильменау, Германия), т. 3, 1983, с. 157-160
45. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С., Абайшвили В.В. Динамическое исследование сферического кривошипно-ползунного шарнирного механизма с зазорами. Сб. «Вопросы прикладной механики», изд. ТГУ, вып. I, Тбилиси, 1983, с. 31-62
46. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С. Исследование сферического и плоского четырехзвенных шарнирных механизмов с учетом зазоров в кинематических парах. Труды ГПИ им. В.И. Ленина, «Теория механизмов и машин», № 1(246), Тбилиси, 1982, с. 21-27
47. Давиташвили Н.С., Абайшвили В.В. Динамика плоского пятизвенного шарнирного механизма с зазором. Труды IV Международного симпозиума «SY'ROM-85», Бухарест, 1985, т. I-I, с. 1-8
48. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С. Исследование влияния зазора в кинематических парах на динамику сферического шарнирного механизма.

Труды IV Международного симпозиума «SY’ROM-85», Бухарест, 1985, т. I-I, с. 79-86

49. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С. Динамическое исследование плоского четырехзвенного шарнирного механизма с зазорами. Сообщения АН ГССР, 1981, т. 104, №3, с. 681-684
50. Давиташвили Н.С., Абайшвили В.В. Дифференциальные уравнения движения плоского пятизвенного шарнирного механизма с зазорами. «Вопросы прикладной механики», Тбилиси, изд. ТГУ, 1984, вып. 2, с. 181-185
51. Давиташвили Н.С. Вопросы кинематики и точности пятизвенных шарнирных механизмов. Всемирный конгресс по теории механизмов и машин (Монреаль, Канада), 1979, т. I, с. 557-561
52. Давиташвили Н.С. Основы теории погрешности и точности шарнирно-рычажных механизмов. Тбилиси, Технический университет, 1999 - 386 с.
53. Давиташвили Н.С., Основы динамического исследования шарнирно-рычажных механизмов с учетом трения. Тбилиси, Комитет ИФТоММа Грузии, 2002 - 352 с.
54. Диментберг Ф.М. Изгибные колебания вращающихся валов. М., изд. АН СССР, 1959 - 248 с.
55. Екимовский И.П. Эксплуатация и техническое обслуживание рефрижераторного подвижного состава. М., Транспорт, 1983 - 190 с.
56. Жоголев Е.А., Трифонов Н.П. Курс программирования. М., Наука, 1971 - 400 с.
57. Железнодорожный хладотранспорт. Справочник. М., Транспорт, 1983 - 190 с.
58. Ждановский Н.С., Николаенко А.В. Надежность и долговечность автотракторных двигателей. Л., Колос, 1974 - 175 с.
59. Исследования динамики вагонов. Труды ВНИИЖТ, вып. 307, 1965 - 180 с.

60. Инструкция по ремонту дизеля типа 4VD 12,5/9 SRL. VEB Robur-Werke Zittau (Германия), 1979 - 160 с.
61. Кожевников С.Н., Ленский А.Н. Динамические исследования механизмов с зазорами в кинематических парах. Труды II Всесоюзного совещания по основным проблемам ТММ. «Динамика машин», Машгиз, 1960, с. 85-100
62. Кожевников С.Н., Гранаткин Ю.Г. Исследования влияния формы соударяющихся тел на коэффициент восстановления скорости. «Теория механизмов и машин», Харьков, изд. Харьковского ун-та, 1971, вып. 11, с. 3-7
63. Крагельский И.В. Трение и износ. М., Машиностроение, 1968 - 480 с.
64. Котуранов В.П., Хусидов В.Д., Устич П.А., Быков А.И. Динамика вагона. М., Транспорт, 1991 - 238 с.
65. Кунц К.С. Численный анализ. Киев, Техника, 1964 - 390 с.
66. Кобринский А.Е. Некоторые вопросы практического расчета на точность механизмов с низшими парами. Труды семинара по ТММ, т. 6, вып. 23, с. 74-89
67. Кобринский Н.Е. Кинематические ошибки плоских механизмов, вызываемые зазорами в кинематических парах. Изв. АН СССР, ОТН, 1946, с. 291-304
68. Коплатц Л. Численные методы решения дифференциальных уравнений. Ил., 1953 - 459 с.
69. Крейнин Г.В., Бессонов А.П., Воскресенский В.В. и др. Кинематика, динамика и точность механизмов. Справочник. М., Машиностроение, 1984 - 224 с.
70. Крылов Ю.С., Пирог П.И. и др. Проектирование холодильников. М., Пищевая промышленность, 1972 - 310 с.
71. Кузнецов А.В. Устройство и эксплуатация двигателей внутреннего сгорания. М., Высшая школа, 1979 - 288 с.

72. Кумсков В.Т., Маханько М.Г., Штейнберг Л.Д. Основы теплоэнергетики для теплотехников и локомотивных бригад. М., Транспорт, 1984 - 174 с.
73. Кржимовский В.Е., Постарнак С.Ф., Романов В.А. Двигатели внутреннего сгорания рефрижераторного подвижного состава. М., Транспорт, 1980 - 256 с.
74. Кржимовский В.Е., Скрипкин В.В., Филюнин Г.И. Рефрижераторные секции отечественной постройки. М., Транспорт, 1983 - 185 с.
75. Кушнаренко К.Ф. Краткий справочник по горючему. М., Воениздат, 1979 - 382 с.
76. Лазарян В.А. Динамика вагонов. М., Транспорт, 1964 - 252 с.
77. Лазарян В.А. Некоторые современные проблемы динамики транспортных средств. Киев, Наукова думка, 1980, с. 3-43
78. Лазарян В.А. Динамика транспортных средств. Избранные труды. Киев, Наукова думка, 1985 - 528 с.
79. Лазарян В.А. Применение математических машин непрерывного действия к решению задач динамики подвижного состава железных дорог. М., Трансжелдориздат, 1963 - 215 с.
80. Львов А.А., Грачева Л.О. Современные методы исследований динамики вагонов. Труды ВНИИЖТ, вып. 457, 1972, с. 40-56
81. Луканин В.Н., Гаврилин В.В. К анализу ударных явлений в шатунном подшипнике. Изв. ВУЗ-ов, «Машиностроение», №7, 1971, с. 41-45
82. Ленский А.Н., Лобода В.М. Моделирование стержневых механизмов на электронных АВМ. Сб. «Теория механизмов и машин», вып. 10, изд. Харьковского ун-та, 1971, с. 15-25
83. Левенталь Л.Я., Сучков Д.И. Дизели рефрижераторных вагонов. М., Транспорт, 1987 - 166 с.
84. Марчук Г.И. Методы вычислительной математики. М., Наука, 1977 - 454 с.

85. Милн В.Э. Численное решение дифференциальных уравнений. ИЛ, 1955 - 291 с.
86. Мейдема, Мансур. Исследование механизмов с зазорами: модель трех форм движения. Труды АОИМ (рус. пер.), №4, 1976, с. 174-179
87. Мансур, Таунсенд. Спектры и интенсивность ударов в быстродействующих механизмах. Труды АОИМ (рус. пер.), №1, 1975, с. 336-343
88. Неймарк Ю.И., Фуфаев Н.А. Динамика неголомных систем. М., Наука, 1967 - 519 с.
89. Никольский Л.Н. Вопросы исследования надежности и динамики элементов транспортных машин и подвижного состава. Труды БИИТМ-а, 1978, с. 88-89
90. Нойбауэр А., Коен Р., Холл А. Аналитическое исследование динамики упругих рычажных механизмов. Труды АОИМ, «Конструирование и технология машиностроения», сер. ВМ, №3, 1966, с. 82-89
91. Овакимов А.Г. Аналитический метод решения задач динамики плоских механизмов. М., МАИ, 1978 - 82 с.
92. Осипов А.И. Динамика механизмов с несколькими степенями свободы. «Динамика машин», М., Машиностроение, 1969, с. 212-219
93. Организация и технология ремонта рефрижераторных вагонов. Под ред. Ю.И. Артеменко, Ю.М. Бакрадзе и др. М., Транспорт, 1973 - 303 с.
94. Пановко Я.Г. Введение в теорию механического удара. М., Наука, 1973 - 415 с.
95. Пахомов Э.А. Методы диагностики при эксплуатации тепловозов. М., Транспорт, 1974 - 215 с.
96. Правила деповского ремонта рефрижераторных вагонов ЦВ/2428. М., Транспорт, 1966 - 81 с.
97. Постарнак С.Ф., Романов В.А. Дизели рефрижераторного подвижного состава. М., Транспорт, 1989 - 288 с.

98. Рефрижераторные вагоны постройки ГДР. Под ред. Ю.М. Бакрадзе, В.В. Скрипкина и др. М., Транспорт, 1977 - 272 с.

99. Раус Дж. Динамика системы твердых тел, т. 1. М., Наука, 1983 - 464 с.

100. Сергеев В.И. Некоторые вопросы расчета точности механизмов. «Механика машин», вып. 13. М., Наука, 1968, с. 21-26

101. Сергеев В.И., Юдин К.М. Об одной модели механизмов с зазорами. «Машиноведение», №5, 1970, с. 28-32

102. Сергеев В.И., Юдин К.М. Исследование динамики плоских механизмов с зазорами. М., Наука, 1974 - 111 с.

103. Стрелков С.П. Механика. М., Наука, 1978 - 560 с.

104. Ткачев С.М. Кинематические ошибки механизмов с зазорами. «Вестник машиностроения», 1961, №11, с. 42-46

105. Таунсенд, Мансур. Маятниковая модель механизмов с зазорами во вращательных парах. Труды АОИМ (рус. пер.), №1, 1975, с. 344-348

106. Уинфри, Андерсон, Гнилка. Анализ упругих механизмов с зазорами. Труды АОИМ (рус. пер.), №3, 1973, с. 30-37

107. Ушкалов В.Ф. Проблемы динамики железнодорожного транспорта. Днепропетровск, 1980 - 160 с.

108. Фаерштейн Ю.О., Осадчук Г.И. Ремонт оборудования изотермического подвижного состава. М., Транспорт, 1979 - 341 с.

109. Хрущов М.М. Трение и износ в машинах. Сб. VIII, изд. АН СССР, 1953, с. 5-21

110. Хеминг Р.В. Численные методы. Пер. с англ. М., Наука, 1972 - 400 с.

111. Хусидов В.Д. Об использовании численных методов в решении задач нелинейных колебаний. Труды МИИТ, вып. 368, 1971, с. 3-17

112. Чжу З.Ж., Чжэнь И. Устойчивость движения шатуна. Труды АОИМ, «Конструирование и технология машиностроения», т. 106, №4. М., Мир, 1983, с. 169-172

113. Шарашенидзе Г.С. Динамика вагонов. Тбилиси, Ганатлеба, 2001 - 544 с. (на груз. яз.)
114. Шепетельников В.А. Об одной особенности уравновешивания вагонных колесных пар. Труды МИИТ, вып. 102, 1959, с.51-58
115. Шарашенидзе Г.С. К вопросу определения силы реакции в кинематических парах сферического кривошипно-ползунного идеального механизма. Труды ГПИ, сб. ТММ, №3(273), Тбилиси, 1984, с. 68-71
116. Шарашенидзе Г.С., Шарашенидзе С.Г. Классификация и динамический анализ движения ползуна к/п механизма с зазором дизеля ж/д рефрижераторного вагона. // Проблемы прикладной механики, №2(3), Тбилиси, 2001, с. 57-62
117. Шарашенидзе Г.С., Шарашенидзе С.Г. Аналитические исследования сил реакций и трения в шарнирных соединениях с зазорами исполнительного механизма дизеля рефрижераторного вагона. // Проблемы прикладной механики, № 2(7), Тбилиси, 2002, с. 38-45
